K 159 454
3

ილ. ვიგასტოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მასნავლებელი

ბანათლება

ჩინგიზ აიტმატოვი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველი მასწავლებელი

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1975

С (Даг)
894.612.1—3
Ъ 394

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ი. კალინინი აღნიშნავდა, რომ „მასწავლებელი წყვეტს ყველაზე პასუხსაგებ ამოცანას — იგი აყალიბებს ადამიანს“ და ხაზგასმით მიუთითებდა: „მთავარია პატიოსნად მოვექცეთ ბავშვებს... აღვზარდოთ ჩვენი ბავშვებისაგან ნამდვილად კარგი, ნამდვილად სოციალისტური მოქალაქენი...“

ეს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებს პოპულარული ყირგიზი მწერლის, ლენინური პრემიის ლაურეატის ჩინგიზ აიტმატოვის „პირველი მასწავლებლის“ მთავარ გმირს — დიუიშენს, რომელმაც კომკავშირის დავალებით დაწყებითი სკოლა დააარსა ყირგიზეთის მიყრუებულ სოფელში და თვითონვე იკისრა მასწავლებლობა.

სპეტაკმა დიუიშენმა ისე გადალახა ყველა სიძნელე, რომ პირად კეთილდღეობაზე არც უფიქრია. სამაგიეროდ, საწადელს მიაღწია — მრავალი პატრიოტი აღუზარდა სამშობლოს და პირველი მასწავლებლის საპატიო ტიტული დაიმსახურა.

რუსულიდან თარგმნა გ ი ვ ი ბ ო ჯ გ უ ა ძ

სპეგ-2000
შეფასებულია

© ქართული თარგმანი, „განათლება“, 1975

А $\frac{9—2—055}{М—602\ (08)\ —\ 75}$ 150—75

623.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფართოდ ვაღებ ფანჯრებს. ოთახში იღვრება სუფთა ჰაერის ნაკადი. სინათლეშეპარულ მოლურჯო ბინდბუნდში ყურადღებით ვაცქერდები ჩემი ახალდაწყებული სურათის უამრავ ეტიუდსა და ჩანახატს. ვინ იცის, მერამდენედ დამიწყია ყველაფერი თავიდან, მაგრამ მაინც ვერაფრით ვიტყვი სურათი დავამთავრე-მეთქი. ჯერაც ვერ მივაგენი იმ მთავარს, რაც გაზაფხულის რიჟრაჟივით ერთბაშად, გარდუვალად, ზრდადი სიცხადითა და აუხსნელი, ოდნავ მფეთქავი ჟღერით იჭრება სულში. დავდივარ აისისწინა სიწყნარეში და განუწყვეტლივ ვფიქრობ. დღემუდამ ახალი ძალით ვრწმუნდები, რომ ჩემი სურათი ჯერ მხოლოდ ჩანაფიქრია და სხვა არაფერი.

ჩვევად არა მაქვს, — წინასწარ ვილაპარაკო დაუმთავრებელ ნაწარმოებზე, თუნდაც მეგობრებს ვაუწყო რაიმე მის შესახებ. იმიტომ კი არა, რომ ერთობ ეჭვის თვალით ვუყურებ ჩემს ნამუშევარს, არა. უბრალოდ, ძნელია ჯერ კიდევ აკვანში მწოლიარე ჩვილის მომავლის გამოცნობა. ასევე ძნელია იმსჯელო დაუმთავრებელ, სრულუქმნელ ნაწარმოებზე, მაგრამ ამჯერად ვღალატობ ჩვევას — მინდა საჯაროდ განვუცხადო, უფრო სწორად, აზრი გავუზიარო ხალხს ჩემს დაუწერელ სურათზე.

და ეს ახირება როდია. სხვანაირად არც შემიძლია; ვატყობ — მარტოკა უძლური ვარ. ამბავი, რომელმაც სული ამიფორიაქა და ხელში ყალმის აღება მაიძულა, იმდენად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ მარტოკა ვერ გავწვდები. მეშინია, ვაითუ ყოველივე ვერ მივაწვდინო მნახველს, ვაითუ გადმომეღვაროს პირთამდე სავსე ფინჯანი. მინდა, ადამიანები დამეხმარონ რჩევა-დარიგებით, მიკარნახონ გადაწყვეტა, მხარში ამომიდგნენ თუნდაც ფიქრით, ჩემთან ერთად დადგნენ მოლბერტთან, ჩემთან ერთად იღელვონ.

ნუ დაიშურებთ გულის სითბოს, მომიახლოვდით, ვალდებული ვარ მოგითხროთ ეს ამბავი...

ჩვენი აული — კურკურეუ მთისწინეთის განიერ პლატოზეა გაფენილი. ხეობებიდან აქეთკენ მოქუხან მთის ბუხუნა მდინარეები. აულს ქვემოთ გაშლილია ეგრეთ წოდებული ყვითელი ხეობა — ყაზახეთის ვრცელი ველი, გარშემორტყმული შავი მთების განტოტებითა და რკინიგზის მუქი, ვარალელური ხაზებით, რომლებიც, დაბლობის გავლით, ჰორიზონტს იქით, დასავლეთისაკენ მიილტვიან.

აულს ზემოთ კი, ბექობზე, ორი ალვის ხე დგას, რომლებიც ბავშვობიდანვე მახსოვს. რომელი მხრიდანაც არ უნდა მოადგე ჩვენს კურკურეუს, უპირველესად გორაკზე შუქურასავით აღმართულ ამ ორ ალვის ხეს შეამჩნევ. არ კი ვიცი,— რითი ავხსნა, იმით, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებანი განსაკუთრებით ძვირფასია ადამიანისთვის, თუ ეს დაკავშირებულია ჩემს პროფესიასთან — მხატვრობასთან, მაგრამ ყოველთვის, როცა მატარებლიდან ჩამოვალ და, ველის გავლით, აულში მივემგზავრები, შორიდანვე მუდამ თვალებით ვეძებ ჩემს ალვის ხეებს.

ცას სვეტებად შესდგომიან ალვები, მაგრამ ერთბაშად მაინც ძნელია მათი შემჩნევა ამსიშორე მანძილიდან. თუმცა, პირადად მე მუდამ თვალწინ მიდგანან ეს ტანაშოლტილი ხეები.

რამდენჯერ დავბრუნებულვარ კურკურეუში შორეული მოგზაურობიდან და ყოველთვის ნაღვლიანად მიფიქრია: — ნეტა თუ მალე ვნახავ იმ ტყუპ ალვის ხეს? ნეტა მალე მივიდე აულში და წამსვე ავვარდები ბექობზე, ალვებთან გავჩნდები. მერე კი დიდხანს, დიდხანს ვიდგები მათ ქვეშ, ვიდრე არ დავთვრები ფოთოლთა შრიალით.

ჩვენს აულში უამრავი ჯიშის ხე ხარობს, მაგრამ ეს ორი ალვა უბადლოა. მათ საკუთარი ენა აქვთ და ალბათ — საკუთარივე ამღერებული სულიც. რა დროსაც არ უნდა მოხვიდე აქ, ისინი მუდამ ირწევიან, ერთმანეთს უტლაშუნებენ შტოებსა და ფოთლებს, უცხოდ შრიალებენ შეუსვენებლივ. ხან გეგონება, მოქცევისას ტალღა ელამუნებაო სილას, ხანაც უხილავი ცეცხლივით გაირბენს ტოტებშორის მათი ვნებიანი, მძაფრი ჩურჩული; ხან, წამით მიყუჩებული ალვის ხეები, ერთბაშად აწრიალდებიან და ამოიოხრებენ, თითქოს ვიღაცაზე დარდს შეუპყრიათო. ხოლო როცა საავდრო ღრუბელი

დაიძრება და ქარიშხალი ამტვრევს ტოტებს, გლეჯს ფოთლებს, ალვის ხეები ჯიუტად ქანაობენ, მძვინვარე, გიზგიზა ალივით გუგუნებენ.

ერთობ მოგვიანებით გავიგე ამ ტყუპი ალვების საიდუმლოება. ისინი ქარების სათარეშო მაღლობზე დგანან და უმალვე მხარს უბამენ ჰაერის უმნიშვნელო მოძრაობას, ყოველი ფოთოლი უმსუბუქეს ქროლვასაც კი ფხიზლად იჭერს.

მაგრამ ამ ანბანური ჭეშმარიტების აღმოჩენამ გული ვერ გამიტეხა, ვერ წამართვა დღემდე შემორჩენილი ბალღობის დროინდელი აღქმა. ამიტომაც ბექობზე მდგარი ეს ორი ალვის ხე განსაკუთრებულ, ცოცხალ არსებად მიმაჩნია. იქ, მათ სიახლოვეს, ჯადოსნური ნატვრისთვალივით დარჩა ჩემი ბავშვობა.

უკანასკნელი გაკვეთილის შემდეგ, საზაფხულო არდადეგების წინ, ბიჭები აქეთ მოვქროდით ფრინველთა ბუდეების დასარბევად. ყოველთვის, როცა ყიჟინითა და სტვენით ავირბენდით ხოლმე ბექობს, გოლიათი ალვის ხეები ისე ირწეოდნენ, თითქოს გვესალმებოდნენ თავიანთი გრილი ჩრდილებითა და ფოთლების ნაზი შრიალით. ჩვენ კი — ფეხშიშველა ყაჩაღანები — ერთმანეთს შევეშველებოდით, სულ მაღლა-მაღლა მივცოცავდით ხეზე და ვაფორიაქებდით ფრინველთა სამეფოს. შეშფოთებული ჩიტების გუნდები ჟივილით მიმოქროდნენ ჩვენს ზემოთ. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, აინუნშიაც არ ვაგდებდით. კენწეროებისკენ მივიწევდით; ხომ უნდა გამოგვერკვია — ვინ უფრო მამაცია და მოხერხებული! და უცებ, ჩიტის საფრენი სიმაღლიდან, ჩვენს თვალწინ ზღაპრულად გადაიშლებოდა სივრცისა და სინათლის ჯადოსნური სამყარო.

გვხიბლავდა დედამიწის სიდიადე. სუნთქვაშეკრულნი გავყუჩდებოდით, ტოტებს მივეკრობოდით და გვავიწყდებოდა ბუდეებიცა და ჩიტებიც. საკოლმეურნეო თავლა, უდიდეს შენობად რომ მიგვაჩნდა მთელს სამყაროში, აქედან ჩვეულებრივ ფარდულად გვესახებოდა, ხოლო აულს იქით, ბუნდოვან მირაჟში იკარგებოდა მთელ სივრცეზე გაშლილი ყამირი ველი. თვალსაწიერამდე შევშტერებოდით მის მტრედისფერ შორეთს და ვჭვრეტდით ახალ-ახალ მიწებს, რომელ-

თა შესახებ ადრე ეჭვადაც არაფერი ვიცოდით. გავცქეროდით მანამდე უხილავ მდინარეებს, ჰორიზონტი რომ მოესირმათ უწვრილესი ძაფებით. ტოტებზე განაბულთ ვერ გაგვერკვია: აქ თავდებოდა ქვეყანა, თუ მის იქითაც ასეთივე ცა, ღრუბლები, ველები და მდინარეებია? ვისმენდით ქართა ზეციურ ხმებს, რომლებსაც ფოთლები ჩურჩულით უამბობდნენ მტრედისფერ შორეთს იქით მიმალულ მიმზიდველ, ზღაპრულ მხარეებზე.

მესმოდა ალვის ხეთა ფაჩუნი და გული მიცახცახებდა შიშისა და სიხარულისაგან. და ამ დაუოკებელ შრიალში თავს ვაძალებდი შორეულ დღეთა სახიერ წარმოდგენას. თურმე მხოლოდ ერთ რამეზე არ ვფიქრობდი მაშინ: ვინ დარგო აქ ეს ალვები? რაზე ოცნებობდა, რაზე ლაპარაკობდა ის უცნობი, როცა მაცოცხლებელ მიწას აყრიდა ნერგების ფაფუკ ფესვებს, რა იმედით ახარებდა მათ ამ მაღლობზე?

იმ ბექობს, რომელზედაც ალვის ხეები ყელყელაობენ, ჩვენში რატომღაც „დიუიშენის სკოლას“ ეძახდნენ. მახსოვს. თუ ვინმე ცხენს დაეძებდა და შემხვედრს მიმართავდა: ხომ არ გინახავს ჩემი ქურანიო, — ხშირად ასე უპასუხებდნენ: ე, იქ, მაღლობზე, დიუიშენის სკოლის სიახლოვეს, ღამით ცხენები ბალახობდნენ, წადი, იქნებ შენიც ერიოსო. უფროსების მიბაძვით, ჩვენც, ბიჭები, დაუფიქრებლად ვიმეორებდით: „აბა, ჰე, ბიჭებო, დიუიშენის სკოლასთან — ალვის ხეებისკენ, ბეღურების დასაფრთხობად!“

გადმოცემით ვიცოდი: ოდესღაც ამ ბექობზე სკოლა ყოფილა, მაგრამ ჩვენ მისი ნიშანწყალიც ვერ აღმოვაჩინეთ. ბავშვობაში არაერთხელ მიცდია თუნდაც სკოლის ნანგრევის პოვნა. მიხეტიალია, მიძებნია, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ! თანდათან უცნაურობად მეჩვენებოდა, ამ ტიტლიკანა ბექობს რომ „დიუიშენის სკოლა“ ერქვა და ერთხელ მოხუცებს ვკითხე: ვინ არის დიუიშენი? მიპასუხეს: სწორედ ის— კოჭლი ცხვრის მოდგმიდან, — ახლაც რომ ცოცხლობს.

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. დიუიშენი მაშინ კომკავშირელი იყო. იმ ბექობზე უპატრონო ფარდული იდგა, რომელშიც დიუიშენმა სკოლა გახსნა, ბავშვებს ასწავლიდა. თუმცა რა სკოლა, სახელიღა ჰქონდა სკოლისა. რა საოცარი დრო

იყო! მაშინ ვისაც ცხენისთვის ფაფარში ხელის ჩავლება შეეძლო და უზანგში ფეხის შეყოფა — საკუთარ თავს უფროსობდა. ასევე იყო დიუიშენიც. მოეპრიანა და საწადელი აისრულა. ახლა ნასახსაც ვერ იპოვი იმ ფარდულიდან, სახელი კი შემოგვრჩა...

ხეირიანად არც კი ვიცნობდი დიუიშენს. როგორც მახსოვს, ეს იყო უკვე ხანში შესული კაცი, მაღალი, მოუხეშავი, თვალებზე ჩამოფხატული არწივისებური წარბებით. მისი კარმიდამო მდინარის გაღმა, მეორე ბრიგადის ქუჩაზე მდებარეობდა. როცა ჯერ კიდევ აულში ვცხოვრობდი, დიუიშენი კოლმეურნეობის მრწყველად მუშაობდა. სულ მინდორში იყო, მგონი შინ ღამესაც არ ათევდა. იშვიათად ჩვენს ქუჩაზეც ჩამოივლიდა ხოლმე კეხზე მიბმული უშველებელი კეტმენით.[1] მისი ცხენიც პატრონს წააგავდა — ისეთივე გაძვალტყავებული იყო და წვრილკანჭა. მაგრამ ეს ისე, სიტყვაზე. მთავარი კი სულ სხვაა. ჩემი მაშინდელი გაგებით, კომკავშირელი საქმესა და სიტყვაში ფიცხელი უნდა ყოფილიყო, ამავე დროს — ყველაზე ბრძოლისუნარიანი აულში მცხოვრებთა შორის, რომელიც კრებაზეც გამოვიდოდა სიტყვით და გაზეთშიც გააკრიტიკებდა უქნარებსა და მფლანგველებს. და ვერაფრით წარმომედგინა, ეს მოკრძალებული, წვეროსანი კაცი ოდესმე კომკავშირელი თუ იყო. უფრო საკვირველად კი ის მიმაჩნდა, რომ თვითონ ანბანის ძლივს მცოდნე კაცი მასწავლებლობდა. ერთობ ძნელი იყო ამის დაჯერება! გულწრფელად რომ ვთქვა, ყოველივე ეს ჩვენს აულში გავრცელებულ მორიგ მონაჩმახად მიმაჩნდა. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად ყოფილა...

გასულ შემოდგომაზე ჩემი აულიდან დეპეშა მივიღე. თანამემამულენი კოლმეურნეობის სახსრებით აგებული ახალი სკოლის გახსნაზე მეპატიჟებოდნენ. მაშინვე გავემგზავრე — ან რა გამაჩერებდა შინ ჩვენი აულისთვის ასეთ სასიხარულო დღეს. ის კი არა, რამდენიმე დღით ადრეც კი ჩავედი. ვიფიქრე: ვიხეტიალებ, მივიხედ-მოვიხედავ, ახალ ჩანახატებს გავაკეთებ. მიწვეულთაგან თურმე აკადემიკოს სულაიმანოვასაც ელოდნენ. გავიგე, რომ იგი ერთ-ორ დღეს დაჰყოფდა იქ და მერე პირდაპირ მოსკოვში გაემგზავრებოდა.

---

[1] კეტმენი — თოხის სახეობა შუა აზიაში.

ისიც ვიცოდი, რომ ამჟამად სახელგანთქმული ეს ქალი ბავშვობისას წავიდა ქალაქში ჩვენი აულიდან. მერე, მეც რომ ქალაქელი გავხდი, გავეცანი. იგი უკვე ხანდაზმული იყო, ჩასუქებული. ჭაღარის სქელი, თეთრი ზოლი ამშვენებდა მის სადად დავარცხნილ თმას. ჩვენი სახელოვანი თანამემამულე უნივერსიტეტში კათედრას განაგებდა, ლექციებს კითხულობდა ფილოსოფიაში, აკადემიაში მუშაობდა, ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ. ერთი სიტყვით, ძალიან დაკავებული იყო და ვერაფრით მოვახერხე მისი ახლოს გაცნობა. ის კია, სადაც არ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, მუდამ აინტერესებდა ჩვენი აულის ცხოვრება და ძუნწად გამოსთქვამდა თავის შეხედულებას ჩემს ნამუშევრებზე. ერთხელ შევბედე:

— ალტინაი სულაიმანის ასულო, რა კარგი იქნებოდა მშობლიურ აულში თანამემამულეები მოგენახულებინათ. იქ ყველას პირზე აკერია თქვენი სახელი, ამაყობენ თქვენით, მაგრამ უფრო განაგონით გიცნობენ. ზოგჯერ იმასაც კი ამბობენ, რომ მათი წიაღიდან გამოსული სახელოვანი მეცნიერი ხალხს გაურბის, გზა დავიწყნია თავის კურკურეუსკენო.

— ცხადია, საჭიროა მშობლიურ აულში ჩასვლა, — არცთუ ხალისიანად გაიღიმა მაშინ ალტინაიმ, — თავადაც ვოცნებობ კურკურეუს მონახულებაზე, რა ხანია იქ არა ვყოფილვარ. მართალია, ნათესავები აღარა მყვანან აულში, მაგრამ ეგ არაფერი. უთუოდ წავალ, უთუოდ. ძალზე განვიცდი მშობლიური მხარის უნახაობას.

აკადემიკოსი სულაიმანოვა იმ დროს ეწვია აულს, როცა სკოლაში საზეიმო შეკრების დაწყებას წუთი წუთზე აპირებდნენ. კოლმეურნეებმა ფანჯარაშივე მოჰკრეს თვალი მის მანქანას და ერთად იხუვლეს ქუჩაში. ნაცნობსა და უცნობს, მოხუცსა და ახალგაზრდას — ყველას უნდოდა მისთვის ხელის ჩამორთმევა. ალტინაი არ ელოდა ასეთ შეხვედრას და, როგორც მომეჩვენა, დაიბნა კიდეც. მკერდზე ხელებდაწყობილი ალტინაი მდაბლად ესალმებოდა ხალხს და გაჭირვებით მიიკვლევდა გზას პრეზიდიუმისკენ, რომელიც სცენაზე იყო გამართული.

თავისი ცხოვრების მანძილზე ალტინაი სულაიმანის ასუ-

ლი არაერთხელ ყოფილა საზეიმო საღამოზე და ალბათ ყოველთვის სიხარულითა და პატივისცემით ხვდებოდნენ, მაგრამ აქ, სოფლის ჩვეულებრივ სკოლაში, თანამემამულეთა გულთბილობამ გული აუჩვილა, ააღელვა და სულ იმას ცდილობდა, მოძალებული ცრემლები დაემალა.

საზეიმო ნაწილი ჩათავდა. პიონერებმა წითელი ყელსახვევი გაუკეთეს ძვირფას სტუმარს, ყვავილები მიართვეს და მისი სახელით გახსნეს ახალი სკოლის საპატიო წიგნი. შემდეგ გაიმართა საინტერესო, მხიარული კონცერტი მოსწავლეთა თვითმოქმედი ძალებით, ბოლოს კი სკოლის დირექტორმა მიგვიწვია სტუმრები, მასწავლებლები და კოლმეურნე აქტივისტები.

აქაც შეჰხაროდნენ ალტინაი სულაიმანის ასულის ჩამოსვლას. იგი ყველაზე საპატიო, ხალიჩებით მორთულ ადგილზე დასვეს და ხაზგასმით გამოხატავდნენ მისდამი პატივისცემას. ასეთი შემთხვევისთვის დამახასიათებელი ხმაური იდგა. სტუმრები გაცხოველებით ბაასობდნენ, სადღეგრძელოებს წარმოსთქვამდნენ. უცებ ოთახში შემოვიდა ერთი ყმაწვილი და სახლის პატრონს დეპეშების მთელი შეკვრა გადასცა. დეპეშებმა ყველას ხელში გაიარა: ყოფილი მოწაფეები სკოლის გახსნას ულოცავდნენ თანამემამულეებს.

— ყმაწვილო, ეს დეპეშები მოხუცმა დიუიშენმა ხომ არ მოიტანა? — იკითხა დირექტორმა.

— დიახ, — უპასუხა ყმაწვილმა, — ამბობს: მოვკალი ცხენი მათრახის ტყლაშუნით, კრებაზე მინდოდა მომესწრო, რომ ხალხისთვის იქვე წაეკითხათო. ცოტა შეაგვიანდა ჩვენს აკსაკალს[1], განაწყენებული მოვიდა.

—მერედა, რაღას უდგას იქ, ჩამოქვეითდეს, შემოიპატიჟე!

ყმაწვილი გავიდა დიუიშენის დასაძახებლად. ალტინაი სულაიმანის ასული, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა, უცებ აფორიაქდა და როგორღაც გაკვირვებულმა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, მკითხა: ეგ რომელ დიუიშენზე ლაპარაკობენ?

---

[1] აკსაკალი — თეთრწვერა, უხუცესი (პატივისცემის გამომხატველი სიტყვა).

— კოლმეურნეობის ფოსტალიონზე, ალტინაი სულაიმანის ასულო. რა, იცნობთ მოხუც დიუიშენს?

მან გაურკვევლად გააქნია თავი, შემდეგ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ამ დროს ვიღაც ცხენოსანმა ხათქახუთქით ჩაუქროლა ფანჯარას, ხოლო მობრუნებულმა ყმაწვილმა სახლის პატრონს მოახსენა:

— მოვიწვიე, ბატონო, მაგრამ არ ქნა, წერილები მაქვსო დასატარებელი.

— ჰოდა, დაატაროს, რაღაზე მოვაცდინოთ. მერე დაჯდება მოხუცებთან, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ოო, თქვენ არ იცნობთ ჩვენს დიუიშენს! ეგ კანონის კაცია. სანამ საქმეს არ მოათავებს, არსად შეუხვევს.

— მართალია, უცნაური კაცია. ომის შემდეგ გამოეწერა ჰოსპიტლიდან. უკრაინაში იყო და იქვე დარჩა საცხოვრებლად. სულ რაღაც ხუთი წელია, რაც დაბრუნდა. ამბობს — სამშობლოში მირჩევნია სიკვდილიო. მთელი ცხოვრება ეულად გაატარა, ახლაც ეგრეა...

— მაინც რა მოხდებოდა, რომ შემოსულიყო... თუმცა, მოვეშვათ. — ხელი ჩაიქნია მასპინძელმა.

— ამხანაგებო, თუ გახსოვთ, ოდესღაც დიუიშენის სკოლაში ვსწავლობდით, — ჭიქა ასწია აულის ერთ-ერთმა საპატიო წევრმა, — თვითონ კი, დარწმუნებული ვარ, ხეირიანად არც იცოდა ანბანის ყველა ასო, — მოსაუბრემ თვალები მოწკურა და თავი გაიქნია. მის სახეზე გაკვირვებაც ჩანდა და დაცინვაც.

— მართალია, ასე იყო, — გამოეხმაურა რამდენიმე ხმა.

ყველას გაეცინა.

— რა სათქმელია! რას არ თავკაცობდა მაშინ დიუიშენი. ჩვენ კი ნამდვილი მასწავლებელი გვეგონა.

სიცილი რომ მინელდა, სადღეგრძელოს წარმომთქმელმა განაგრძო:

— ახლა კი ჩვენს თვალწინ გაიზარდა ხალხი. აკადემიკოს ალტინაის მთელი ქვეყანა იცნობს. თითქმის ყველა ჩვენთაგანსა აქვს მიღებული საშუალო განათლება, ხოლო ბევრს — უმაღლესიც. დღეს ახალი სკოლა გავხსენით აულში, ესეც იმაზე მეტყველებს თუ როგორ გამოიცვალა ცხოვრება. მაშ,

მოდით, შევსვათ იმის სადღეგრძელო, რომ კურკურეუს შვილები მომავალშიც იყვნენ თავიანთი დროის მოწინავე ადამიანები!

ისევ ახმაურდნენ, ერთხმად დაუჭირეს მხარი სადღეგრძელოს. მხოლოდ ალტინაი სულაიმანის ასული გაწითლდა და რაღაცით შეწუხებულმა ტუჩებიღა დააკარა ჭიქას. საზეიმოდ განწყობილი ხალხი კი საუბარში იყო გართული და ვერ ამჩნევდა სათაყვანებელი ქალის უგუნებობას.

ალტინაი სულაიმანის ასულმა რამდენჯერმე დაიხედა საათზე. ხოლო როცა სტუმრები ქუჩაში გამოვიდნენ, შევნიშნე: იგი, სხვებისგან მოშორებით, სარწყავ არხთან იდგა და დაჟინებით გასცქეროდა ბექობს, სადაც ნება-ნება ირხეოდნენ ქარს მინდობილი, შემოდგომით გაძოწისფერებული ალვის ხეები. მზე გადაიწვერა ბინდმორეული იასამნისფერი ზოლისკენ. მნათობი მინავლებულ შუქს ფანტავდა და ალვის ხეების კენწეროებს მკრთალი, მწუხარების მომგვრელი მეწამული საღებავით აფერადებდა.

ალტინაი სულაიმანის ასულს მივუახლოვდი და ვთქვი:

— ახლა მათ ფოთლები სცვივათ, ნეტა გაზაფხულზე, ყვავილობის ჟამს განახათ ეს ალვის ხეები.

— მეც ამაზე ვფიქრობ,—ამოიოხრა ალტინაი სულაიმანის ასულმა და მცირე დუმილის შემდეგ თითქოს თავისთვის დაამატა: — დიახ, ყველა ცოცხალ არსებას აქვს თავისი გაზაფხული და შემოდგომა.

მის უკვე ჭკნობაშეპარულ, თვალების გარშემო მიმობნეული უამრავი წვრილი ნაოჭებით დაფარულ სახეზე სევდის ჩრდილმა გადაირბინა. იგი რაღაც ძალზე ქალურად, ნაღვლიანად შესცქეროდა ალვის ხეებს. და უცებ შევამჩნიე: ჩემს წინ იდგა არა აკადემიკოსი სულაიმანოვა, არამედ სრულიად ჩვეულებრივი, სიხარულსა და მწუხარებაში უეშმაკო ყირგიზი ქალი. ეტყობოდა, განსწავლულმა ქალმა თავისი ბავშვობა მოიგონა, რომელსაც ახლა უმაღლესი მწვერვალიდანაც კი ხმას ვერ მიაწვდენ. ალვის ხეების შემყურე ქალს უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ალბათ გადაიფიქრა და ფიცხლავ მოირგო სათვალეები, აქამდე ხელში რომ ეჭირა.

— მოსკოვის მატარებელი მგონი აქ თერთმეტზე გაივლის?

— დიახ, ღამის თერთმეტზე.

—ესე იგი უნდა მოვემზადო.

— ეგ რატომ? თქვენ ხომ დაგვპირდით, რომ რამდენიმე დღეს დარჩებოდით. ხალხი არ გაგიშვებთ.

— არა, სასწრაფო საქმეები მაქვს. ახლავე უნდა გავემგზავრო.

რამდენს ეხვეწნენ განაწყენებული თანამემამულენი, როგორ ეაჯებოდნენ, მაგრამ ალტინაი სულაიმანის ასული ულმობელი აღმოჩნდა.

ბინდდებოდა. გულდაწყვეტილმა თანამემამულეებმა იგი მანქანაში ჩასვეს და სიტყვა ჩამოართვეს, რომ სხვა დროს ერთი კვირით ან მეტი ხნითაც ჩამოვიდოდა. საპატიო სტუმარი სადგურამდე გავაცილე.

რატომ აჩქარდა ასე მოულოდნელად ალტინაი სულაიმანის ასული? თანააულელთა წყენინება, ისიც ასეთ დღეს, უაზრობად მიმაჩნდა. საქმის გასარკვევად გზაში რამდენჯერმე დავაპირე შეკითხვის მიცემა, მაგრამ ვერ გავბედე. და არა იმიტომ, რომ ჩემი უტაქტობის გამომჟღავნებისა მეშინოდა. არა. მივხვდი, რომ იგი მაინც არაფერს მეტყოდა. ღრმად ჩაფიქრებულმა ალტინაიმ მთელი გზა უბრად გალია.

სადგურზე მაინც ვკითხე:

— ალტინაი სულაიმანის ასულო, განაწყენებული ჩანხართ, ხომ არაფერი დავაშავეთ?

— რას ამბობთ? როგორ იფიქრეთ? ვიზე უნდა ვიყო ნაწყენი თუ არა საკუთარ თავზე. ეს კი, რასაკვირველია, შეიძლება.

ასე გაემგზავრა ალტინაი სულაიმანის ასული. მალე მეც დავბრუნდი ქალაქში და რამდენიმე დღის შემდეგ მოულოდნელად წერილი მივიღე მისგან. მაცნობა — მოსკოვში უფრო დიდხანს დავრჩები, ვინემ ვფიქრობდიო. იგი მწერდა:

„თუმცა მრავალი საშური საქმე მაქვს, გადავწყვიტე, ყველაფერი გადამედო და თქვენთვის მომეწერა ეს წერილი... თუ საინტერესოდ მოგეჩვენებათ ის, რასაც აქ ვწერ, ძალიან გთხოვთ, იფიქროთ იმაზე თუ როგორ გავაგებინოთ ხალხს

ყოველივე. ეს საჭიროა არა მარტო ჩვენი თანამემამულეების, არამედ ყველას, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისთვის. ასეთი გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მივიღე. ეს ჩემი აღსარებაა ხალხის წინაშე. უნდა მოვიხადო ბალი. რაც უფრო მეტი ხალხი გაიგებს ამის შესახებ, მით უფრო ნაკლებად გამაწვალებს სინდისის ქენჯნა. ნუ იდარდებთ ჩემს უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებაზე. არაფერი დაფაროთ"...

რამდენიმე დღის განმავლობაში გაბრუებული დავდიოდი მისი წერილისგან მიღებული შთაბეჭდილებით. და ვერაფერი მოვიფიქრე იმაზე უკეთესი, რომ ყოველივე მოგიყვეთ თვით ალტინაი სულაიმანის ასულის პირით.

ეს მოხდა 1924 წელს. დიახ, სწორედ იმ წელს...

მაშინ ჩვენი ახლანდელი სკოლის ადგილზე ღატაკების ბატარა აული იყო. ობოლი ვიყავი და მამაჩემის ბიძაშვილთან ვცხოვრობდი. ასე, თოთხმეტი წლისა თუ ვიქნებოდი.

ჯერ კიდევ შემოდგომაზე, მას შემდეგ, რაც შედარებით შეძლებულები მთაში გადაბარგდნენ გამოსაზამთრებლად, აულში მოვიდა ჯარისკაცის ფარაჯიანი უცხო ახალგაზრდა. კარგად დამამახსოვრდა მისი ფარაჯა, ვინაიდან იგი რატომღაც შავი მაუდისა აღმოჩნდა. სახელმწიფო ფარაჯიანი კაცის გამოჩენა გზებიდან დაშორებულ, მთებქვეშ შეყუჟულ ჩვენს აულში ნამდვილი მოვლენა იყო.

ჯერ ამტკიცებდნენ — ეს კაცი მეთაურად მსახურობდა ჯარში და ამიტომ აულშიც იუფროსებსო; მერე გამოირკვა: იგი მეთაური კი არა სწორედ იმ ტაშანბეკის შვილია, რომელიც მრავალი წლის წინათ, შიმშილობის დროს, ჩვენი აულიდან ქალაქში წავიდა რკინიგზაზე სამუშაოდ და მას შემდეგ არავის უნახავს. მისი შვილი კი თითქოს იმიტომ გამოგზავნეს აულში, რომ აქ სკოლა გახსნას და ბავშვებს ასწავლოს.

იმ დროს სიტყვები — „სკოლა," „სწავლება" უცხო ხილი იყო და ხალხში ცოტა ვისმეს თუ ესმოდა მათი მნიშვნელობა. ზოგი ჩვენამდე მოღწეულ ხმებს ერწმუნებოდა, ზოგს იგი ჭორიკანა ქალების ნაბჟუტურევად მიაჩნდა და, შესაძ-

ლოა, საერთოდ მიევიწყებინათ სკოლა, რომ მალე ხალხი არ შეეკრიბათ სოფლობაზე. ბიძაჩემი დიდხანს დუდღუნებდა: ეს კიდევ რა კრებაა, საქმისთვის ვეღარ მომიცლია რაღაც სისულელეების გამოო, — მაგრამ ბოლოს მაინც შეკაზმა ცხენი და, როგორც თავმომწონე მამაკაცს ეკადრება, ქურანზე ამხედრებული ეწვია საკრებულოს. მეზობელ ბავშვებთან ერთად მეც ავედევნე ბიძას.

როცა ქოშინით ავირბინეთ ბექობი, სადაც, ჩვეულებრივ, იკრიბებოდა ხალხი, იქ უკვე ის ფერმკრთალი, შავმაზარიანი ახალგაზრდა ესაუბრებოდა ჯგროდ შეყრილ ფეხოსნებსა და ცხენოსნებს. ჩვენამდე გარკვევით არ აღწევდა მისი ნათქვამი და მივეახლეთ, მაგრამ ერთმა ქურთუკშემოხეულმა მოხუცმა, რომელიც თითქოს ახლა გამოერკვაო, სიტყვა შეაწყვეტინა ორატორს.

— ყური მიგდე, შვილო, — დაიწყო მან ბორძიკით, თითქოს ენას იტეხსო, — წინათ ბავშვებს მოლები ასწავლიდნენ; მამაშენს კარგად ვიცნობდით — ჩვენსავით ღატაკი იყო. ჰოდა, გვითხარი, თუ გიყვარდე, შენ როდისღა გახდი მოლა?

— მე მოლა კი არა ვარ, აკსაკალ, არამედ კომკავშირელი, — მყისვე გამოეხმაურა დიუიშენი, — ხოლო ბავშვებს დღეიდან მოლების ნაცვლად მასწავლებლები ასწავლიან. მე ჯარში ვისწავლე წერა-კითხვა, მანამდეც ვმეცადინეობდი ცოტ-ცოტას. აი, როგორი მოლა ვარ.

— ო, ეგ სხვა საქმეა...

— ყოჩაღ! — გაისმა მოწონების შეძახილები.

— მაშ, ასე, კომკავშირმა გამომგზავნა თქვენი ბავშვების მასწავლებლად. მაგრამ პირველ რიგში საჭიროა შენობის მაგვარი რამ. სკოლის მოწყობას, თქვენი დახმარებით, რასაკვირველია, ვფიქრობ აი იმ ძველ თავლაში, ბექობზე რომ დგას. თქვენ რას იტყვით?

ხალხი გაყუჩდა, თითქოს უნდა აწონ-დაწონოს საით სწირავს ეს გადამთიელიო. დუმილი დაარღვია სატიმკულ-მოპაექრემ, რომელსაც ეს სახელი უტეხობის გამო შეარქვეს. იგი დიდხანს უსმენდა საუბარს, უნაგირის ტახტას მიყუდებოდა და იწიტებოდა.

— მოიცა, ყმაწვილო, — წამოიწყო სატიმკულმა და ისე

მოჭუტა თვალი, თითქოს ნიშანში იღებსო სამსხვერპლოს, — შენ ეს მითხარი, რა ოხრობად გვინდა ეს სკოლა?

— როგორ თუ რად? — დაიბნა დიუიშენი.

— სწორია! — შეაწია ვიღაცამ სატიმკულ-მოსაექრეს.

და ერთბაშად ყველა შეინძრა, აყაყანდა.

— დეხკანს[1] კეტმენი აცხოვრებს — ასე მოგვდგამს ათაბაბადან. ჩვენი ბავშვებიც ასევე იცხოვრებენ! რა ეშმაკად უნდათ სწავლა? წერა-კითხვა უფროსებმა უნდა იცოდნენ, ჩვენ კი უბრალო ხალხი ვართ. თავს ნუ იგდებ!

ხმები მიწყნარდა.

— ნუთუ წინააღმდეგი ხართ, რომ თქვენმა ბავშვებმა ისწავლონ? — ჰკითხა საგონებელში ჩავარდნილმა დიუიშენმა მოშტერებულ ხალხს.

— წინააღმდეგი თუ ვართ, რა, გადასახლებით გვაიძულებ თუ? წავიდა ის დრო. ჩვენ ახლა თავისუფალი ხალხი გვქვია და ჩვენს ნებაზე ვიცხოვრებთ!

დიუიშენს სისხლი მოაწვა სახეზე, აცახცახებული ხელებით დაიწყვიტა ფარაჯის კავები, ხალათის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, ნაჩქარევად გაშალა და მაღლა ასწია:

— ესე იგი, თქვენ წინააღმდეგი ხართ ამ ქაღალდისა, რომელშიც წერია ბავშვების სწავლების შესახებ და რომელზეც დასმულია საბჭოთა ხელისუფლების ბეჭედი? საინტერესოა, ვინ მოგცათ მიწა, წყალი, ვინ მოგცათ თავისუფლება? აბა, ვინ არის საბჭოთა ხელისუფლების კანონის წინააღმდეგი, ვინ? მიპასუხოს!

„მიპასუხოსო“ — ისე მქუხარედ და ომახიანად წამოიძახა, რომ ამ სიტყვამ ტყვიასავით გახვრიტა შემოდგომის ყუჩე ჰაერი და კლდეთა წამიერ ექოდ აირეკლა. კრინტი არავის დასცდენია. ხალხს თავი ჩაექინდრა და დუმდა.

— ჩვენ ღატაკები ვართ, — უკვე ხმადაბლა თქვა დიუიშენმა, — მთელი სიცოცხლის მანძილზე გვთელავდნენ, გვამცირებდნენ, სიბნელეში ვცხოვრობდით. ახლა საბჭოთა ხელისუფლებას უნდა, რომ ჩვენც ვიხილოთ სინათლე, ჩვენც ვისწავლოთ წერა-კითხვა. ამისთვის კი საჭიროა ბავშვები ვამეცადინოთ...

[1] დეხკანი — გლეხი შუა აზიაში.

დიუიშენი გაყუჩდა პასუხის მოლოდინში. და მაშინ იმ ქურქშემოხეულმა მოხუცმა, რომელსაც დიუიშენის მოლობა ინტერესებდა, შემრიგებლური ტონით წაიბურტყუნა:

— კარგი, ჰო. ასწავლე, თუ არ გეზარება, ჩვენ რა... ჩვენ კანონს არ ვეწინააღმდეგებით.

— ეგ არ კმარა, დახმარებაა საჭირო. უნდა შევაკეთოთ ის ბაისეული თავლა გორაკზე, ხიდი უნდა გავდოთ მდინარეზე, შეშა უნდა სკოლას...

— დაიცა, დაიცა, ვაჟკაცო, შენ რაღაც მკვირცხლი ბიჭი ჩანხარ, აი! — გააწყვეტინა დიუიშენს სატიმკულ-მოპაექრემ, — გააწიტა და ისევ წინანდებურად მოხუჭა თვალი, — რომ ყვირიხარ სკოლას გავხსნიო, კაცმა რომ შემოგხედოს, — არც ქურქი გაცვია, არც ცხენზე ზიხარ, ხელისგულის ოდენა მიწაც არა გაქვს დამუშავებული, არც საქონელი გაბადია! როგორღა ფიქრობ ცხოვრებას, კეთილო კაცო? რაო, სხვათა რემაზე ხომ არ გიჭირავს თვალი?.. გაფრთხილებ — ცხენთა ჯოგები არც ჩვენა ვვყავს. ვისაც ჰყავდა — უკვე მთებშია.

დიუიშენს უნდოდა უკმეხად ეპასუხნა, მაგრამ თავი შეიკავა და ხმადაბლა თქვა:

— ვიცხოვრებ როგორმე, ჯამაგირი მექნება.

—აა, აგრე გეთქვა, შე კაცო! — და კმაყოფილი სატიმკული გამარჯვებულის პოზაში გაიჯგიმა უნაგირზე, — ახლა ყველაფერი გასაგებია. ვაჟკაცო, მაშინ თვითონ მოაბი თავი შენს საქმეს და საკუთარი ჯამაგირითვე ასწავლე მაგ ბავშვებს. ხაზინაში ფული ბევრია! ჩვენ კი მოგვეშვი, მადლობა ღმერთს, უშენოდაც გვყოფნის საქმე.

სატიმკულმა ცხენი მოაბრუნა და შინისკენ გასწია. სხვებიც მას მიჰყვნენ. გაშეშებული დიუიშენი კი საცოდავად იდგა თავისი ქაღალდით ხელში და აღარ იცოდა, რა წყალში ვადავარდნილიყო...

შემეცოდა დიუიშენი და თვალი არ მომისხლეტია მისთვის, სანამ ბიძაჩემმა არ ჩამიარა და გადმომძახა:

— შენ, ეი, თმაგაჩეჩილო, რას დაგიღია პირი? მოუსვი შინისკენ!

სასწრაფოდ დავედევნე ბავშვებს.

— უყურე! ამათაც მოუნდათ კრებაზე დასწრება! — ბუზღუნებდა ბიძაჩემი.

მეორე დღეს, წყალზე რომ წავედით გოგონები, დიუ-შენს შევხვდით. იგი ფონზე გადიოდა, თან ბარს, კეტმენს, ნაჯახსა და ძველ სათლს მიათრევდა.

იმ დღიდან მოყოლებული, შავფარაჯიანი დიუშენი კენ-ტად აუყვებოდა ხოლმე ბილიკს ბექობისკენ, სადაც მივი-წყებული თავლა იდგა და მხოლოდ გვიან საღამოს ბრუნდე-ბოდა აულში. ხშირად გვინახავს იგი წივის[1] ან ნამჯის მოზ-რდილი შეკვრით ზურგზე. აულის მცხოვრებნი რომ შორიდან შენიშნავდნენ, უზანგებზე წამოდგებოდნენ, თვალებზე ხელს მიიჩრდილებდნენ და გაკვირვებით გადაულაპარაკებდნენ ერ-თმანეთს:

— ეგ მასწავლებელი არ არის, შეკვრას რომ მიათრევს?

— ეგ არის, ეგ.

— საწყალი. ეტყობა, არც მასწავლებლის შრომა ყოფი-ლა ადვილი.

— აბა რა გეგონა. შეხე, რამხელა კონა აუკიდნია ბაის ყმასავით.

— მის სიტყვას რომ მოუსმინო, რას იფიქრებ, რომ!..

— ეგ იმიტომ, რომ ბეჭდიანი ქაღალდი აქვს ხელში — მაგაშია მთელი ძალა.

ერთხელ, როცა წივით სავსე ტომრებით ვბრუნდებოდით აულს ზემოთ მდებარე მთისწინეთიდან, სკოლისკენ შევუხვი-ეთ: გვაინტერესებდა, რას აკეთებდა იქ მასწავლებელი. ძვე-ლი, თიხით შელესილი ფარდული ბაის თავლას წარმოადგენ-და. ავდრიან ზამთარში აქ ინახავდნენ კვიცმოგებულ ჭაკებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბაი სადღაც გა-დაიკარგა, თავლა კი უპატრონოდ დარჩა. აქ არავინ ჭაჭანებ-და. ირგვლივ ყოველივეს ეკალ-ბარდი ფარავდა. ახლა კი ძირფესვიანად ამოთხრილი სარეველა გროვა-გროვად ეყარა. ეზო გაკრიალებული იყო; მონგრეული, წვიმისგან ჩამორეცხილი კედლები — თიხით შელესილი; გვერდზე მოქცეული, დამსკდარი კარი, მუდამ ცალ ანჯამაზე რომ ეკიდა, შეკეთებული და თავის ადგილზე დაკიდული.

---

[1] წივა — მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნეხვი, კვერებად ან ბრი-კეტებად გამხმარი (უტყეო ადგილებში საწვავად იყენებენ).

როცა ტომრები მიწაზე დაეუშვით და მცირე შესვენება გადავწყვიტეთ, ფარდულიდან გამოვიდა თიხაში ერთიან ამოგანგლული დიუიშენი. ჩვენ რომ დაგვინახა, გაუკვირდა, ალეგრსიანად გაგვიღიმა და გახვითქული სახიდან ოფლი ჩამოიწურა.

— აქ საიდან გაჩნდით, გოგონებო?

ჩვენ კი ტომრების გვერდით ვისხედით და უხერხულად შევყურებდით ერთმანეთს.

— ზორბა ტომრები დაგითრევიათ! ძალიან კარგი, გოგონებო, რომ შემოიხედეთ. თქვენ ხომ აქ უნდა ისწავლოთ. თქვენი მომავალი სკოლა თითქმის მზადაა. ეს წუთია რაღაც ღუმელისმაგვარი მივაშენე კუთხეში და საკვამლე მილიც მივიყვანე სახურავზე, ხედავთ როგორია? ახლა სათბობის მომარაგებაღა გვაკლია ზამთრისთვის. არა უშავს, წივა ბევრია გარშემო. იატაკზე კი ბლომად დავყრით ნამჯას და მეცადინეობას შევუდგებით. როგორ არის საქმე, ხომ გინდათ სწავლა, სკოლაში თუ ივლით?

ჩემს დობილებს შორის უფროსი მე ვიყავი და ამიტომ გავბედე პასუხის მიცემა:

— ბიცოლა თუ გამომიშვებს, — ვივლი.

— რატომაც არ გამოგიშვებს. რასაკვირველია, გამოგიშვებს. რა გქვია, გოგონა?

— ალტინაი, — ვუპასუხე და ხელისგული ავიფარე შიშველ მუხლებზე, გამოხეული კალთიდან რომ მოჩანდა.

— ალტინაი კარგი სახელია, — მან ისე საოცრად გაიღიმა, რომ გული სითბოთი ამივსო, — ვისი შვილი ხარ?

ხმა არ ამომიღია: შებრალებას ვერ ვიტანდი.

— ობოლია, ბიძასთან ცხოვრობს, — უპასუხეს დობილებმა.

— აბა, შენ იცი, ალტინაი, სხვა ბავშვებიც უნდა მოიყვანო სკოლაში, კარგი? თქვენც მოდით, გოგონებო.

— კარგი, ბიძია.

— მასწავლებელი დამიძახეთ. იქნებ სკოლის დათვალიერება გინდათ, ა? შემოდით, ნუ გერიდებათ.

— არა, შინ უნდა წავიდეთ, — დავიმორცხვეთ ჩვენ.

— კარგი, გაიქეცით. სასწავლებლად რომ მოხვალთ, მაში-

ნაც მოასწრებთ სკოლის ნახვას. მე კი, სანამ არ დაბინდებულა, ერთხელაც წავალ წივაზე.

დიუიშენმა თოკსა და ნამგალს დაავლო ხელი და მინდვრისკენ გასწია. ჩვენც წამოვდექით, ტომრები ზურგზე მოვიგდეთ და აულისკენ მოვუსვით. უცებ მოულოდნელი აზრი დამებადა.

— შეჩერდით, გოგოებო, — მივაძახე მეგობრებს, — მოდით, ეს წივა სკოლაში დავყაროთ, — მეტი სათბობი იქნება ზამთრისთვის.

— იფ, შინ კი ცარიელი ხელებით მივიდეთ, არა, ჭკუის კოლოფო?

— დავბრუნდეთ და კიდევ შევაგროვოთ.

— რას ამბობ, დაგვაგვიანდება, სახლში გაგვიწყრებიან.

გოგონები სწრაფად გამშორდნენ.

აქამდე ვერ გამიგია, რამ მაიძულა იმ დღეს ასეთი საქმის გადაწყვეტა. იმან, რომ მეგობრებზე განაწყენებულმა ჩემი არ დავიშალე, თუ იმან, პატარაობიდანვე ჩემს ნებასა და სურვილს ფეხებით რომ თელავდნენ უხეში ადამიანები? არ ვიცი, მაგრამ მაშინ მომინდა, რითიმე გადამეხადა მადლობა ფაქტიურად უცნობი ადამიანისთვის იმ ღიმილის გამო, რომელმაც გული გამითბო; იმ პატარა ნდობისათვის ჩემდამი, რამდენიმე კეთილი სიტყვისათვის. და კარგად ვიცი... ვიცი კი არა, სავსებით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩემი ნამდვილი ბედი, მთელი ჩემი ცხოვრება, თავისი სიხარულითა და ტანჯვით, სწორედ იმ დღეს, სწორედ იმ ერთი ტომარა წივით დაიწყო. ასე იმიტომ ვამბობ, რომ სწორედ იმ დღეს, პირველად ჩემს სიცოცხლეში, უშიშრად გადავწყვიტე და გავაკეთე ის, რაც საჭიროდ ჩავთვალე. როცა მეგობრებმა მიმატოვეს, დიუიშენის სკოლისკენ გავქანდი, ტომარა კარებთან დავცალე და ელვის სისწრაფით გავემართე ღარტაფებისა და ხეობებისაკენ წივის მოსაგროვებლად.

უთავბოლოდ მივრბოდი, ძალა მომეჭარბა და გული ისე სიამით მითრთოდა მკერდში, თითქოს უდიდესი გმირობა ჩამედინოს. მგონი მზემაც შეიტყო ჩემი აღტაცების მიზეზი. უთუოდ შეიტყო, რადგან ასე ფრთაშესხმული მივრბოდი. მნათობმა იცოდა, რომ მაშინ პატარა სიკეთე ვქმენ.

ცეცხლის ბურთი უკვე ბორცვისკენ დაეშვა, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ იგი ჩასვლას არ ჩქარობდა, მესიყვარულებოდა, გზას მილამაზებდა, შემოდგომის გამქრქალებული მიწა მეწამულ, ვარდისფერ, ლილისფერ საღებავებად მეფინა ფეხქვეშ. ხმელი ვაციწვერას ფუმფულა ფიფქები ირგვლივ მოციმციმე ციცინათელებივით იფანტებოდნენ. მზე ცეცხლად ენთო ჩემი დაბებკილი ბეშმეთის[1] მოვერცხლილ ღილებზე. მე კი სულ წინ მივიწევდი, ოცნებით ვხარობდი, ვაუწყებდი მიწას, ცას, ქარს: შემომხედეთ! მიყურეთ, რა ამაყი ვარ! სკოლაშიც წავალ, ვისწავლი კიდევაც და სხვებსაც გავიყოლიებ!..

არ ვიცი, რამდენ ხანს დავრბოდი ასე. ბოლოს გონს მოვეგე — წივა უნდა შემეგროვებინა. მაგრამ ბედი არ გინდა? რამდენ ნახირს უხეტიალია აქ მთელი ზაფხულის განმავლობაში, რამდენი წივა იყო ყოველთვის და ყოველ ნაბიჯზე, ახლა რა მიწამ უყო პირი! იქნებ არც ვეძებდი? აქეთ-იქით ვაწყდებოდი და, რაც უფრო შორს მივდიოდი, მით უფრო იშვიათად ვპოულობდი წივას. მაშინლა მივხვდი, რომ საღამომდე ვერ მოვასწრებდი ტომრის გავსებას. შემეშინდა, ავჩქარდი, წამდაუწუმ ვედებოდი ვაციწვერას. ძლივძლივობით მოვაგროვე ნახევარი ტომარა და ჩაქრა დაისი, ღარტაფებში წკვარამი ჩამოწვა.

ასე გვიანობამდე არასოდეს დავრჩენილვარ მინდვრად. უკაცრიელ, დამუნჯებულ გორაკზე ღამემ შავი ფრთები გაშალა. შიშისგან აცახცახებულმა მხრებზე მოვიგდე ტომარა და აულისკენ მოვკურცხლე. შიშმა დამზაფრა. ალბათ ვიყვირებდი კიდეც, ან ვიტირებდი, მაგრამ თავს ვიკავებდი. როგორ მოიწონებდა მასწავლებელი დიუიშენი, ასეთ უმწეო მდგომარეობაში რომ ვენახე! გულს ვიმშვიდებდი, საკუთარ თავს ზედმეტად უკან მოხედვასაც კი ვუკრძალავდი — მეგონა, მასწავლებელი მხედავდა.

გული ამოვარდნაზე მქონდა, გაოფლიანებულმა და მტვრიანმა შინ რომ მივირბინე. ცეცხლს მიფიცხებული ბიცოლა მუქარით გამომენთო. ავი და უხეში ქალი იყო ბიცოლა-ჩემი.

---

[1] ბეშმეთი — ეროვნული ტანსაცმელი.

— სად დაიკარგე? — მომდგა ბიცოლა.

სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი, რომ ტომარა გამომგლეჯა და გვერდზე მოისროლა.

— ეგ მოაგროვე მთელი დღის განმავლობაში?

ჩემს მეგობრებს უკვე ჩაეკაკლათ ყველაფერი.

— ო, შე გამურულო მხეცო! რა გინდოდა სკოლაში? რატომ იქვე არ გაგისკდა მიწა? — ბიცოლამ ყურში ჩამავლო ხელი, დამირთო და დამირთო თავში. — ბილწო, ობოლო, უპატრონო! არა, მგლის ნაშიერი მგლობას არ მოიშლის. სხვებს სახლში მოაქვთ, ამას კი, პირიქით, შინიდან მიაქვს. მე შენ გიჩვენებ სკოლას. აბა, ერთი ახლოს მიდი, ფეხებს მოგამტვრევ. მე შენ დაგახსომებ სკოლას...

იმასღა ვცდილობდი, არ მეყვირა. მერე კი კერაზე დანთებულ ცეცხლს მივაჩერდი, ჩუმად ვტიროდი და თან ხელს ვუსვამდი ჩვენს რუხ კატას, რომელიც მუდამ ხვდებოდა, როდის ვტიროდი და კალთაში ჩახტომას ლამობდა. ვტიროდი არა ცემის გამო, არამედ იმიტომ, რომ დავრწმუნდი: ბიცოლა ნაღდად არ გამაკარებდა სკოლას...

ორიოდე დღის შემდეგ აულში დილაადრიან ატყდა ძაღლების გნიასი, ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი. თურმე დიუიშენი ეზო-ეზო დადიოდა და ბავშვებს აგროვებდა სკოლისთვის. მაშინ ჩვენში სად ნახავდით ქუჩებს, მორუხო ალიზით შელესილი ჩაბნელებული ქოხები უწესრიგოდ მიმობნეულიყვნენ აულში; ვისაც სად მოესურვებოდა, იქ სახლდებოდა. ახმაურებული ბავშვებით გარშემორტყმული დიუიშენი ეზოდან ეზოში გადადიოდა.

ჩვენი ეზო სულ ბოლოში იყო. მე და ბიცოლაჩემი ფეტვს ვნაყავდით ქვიჯაში, ბიძა კი ფარდულთან ხორბლით სავსე ორმოს თავს უთხრიდა: მარცვლის გაყიდვას აპირებდა ბაზარში. ქალები ურუსმცემლებივით მონაცვლეობით ვახათქუნებდით მძიმე ფილთაქვებს, მაგრამ მე მაინც ვაპარებდი თვალს მასწავლებლისკენ — მაინტერესებდა შორს იყო თუ ახლოს. მეშინოდა,—იქნებ ჩვენამდე ვერც მოაღწიოს-თქო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიცოლაჩემი სკოლაში არ გამიშვებდა. მიუხედავად ამისა, გულის ფანცქალით ველოდი დიუიშენის

მოსვლას — ნახავდა მაინც სადა ვცხოვრობდი. და უხმოდ ვეაჯებოდი ღმერთს, რომ ჩვენამდე მოეღწია მასწავლებელს.

— სალამი, დიასახლისო, შეგეწიოთ უფალი! თუ ღმერთი არ შეგეწევათ, ჩვენ გიშველით, ხედავთ რამდენი ვართ! — წაიხუმრა დიუიშენმა და მომავალი მოსწავლეებითურთ ეზოში შემოვიდა.

პასუხად ბიცოლაჩემმა, რაღაც წაიდუდღუნა, ბიძას კი თავიც არ აუღია.

დიუიშენი სულაც არ აღელვებულა, იგი მშვიდად დაეშვა შუა ეზოში დაგდებულ მორზე და ფანქარ-ქაღალდი მოიმარჯვა.

— დღეს მეცადინეობას ვიწყებთ სკოლაში. რამდენი წლისაა თქვენი გოგონა?

ბიცოლამ ხმა არ გასცა და ბრაზიანად აარახუნა ფილთაქვა. ეტყობოდა, საუბრის გაგრძელებას არ აპირებდა. სუნთქვა შემეკრა, მოლოდინმა შინაგანად დამძაბა. დიუიშენმა შემომხედა, გამიღიმა და კიდევ ერთხელ გამითბო გული.

— რამდენი წლისა ხარ, ალტინაი? — მკითხა დიუიშენმა.

პასუხის მიცემა ვერ გავბედე.

— რა შენი საქმეა, რევიზორი ხარ თუ?! — გაწიწმატდა ბიცოლაჩემი, — მაგას სწავლის დრო არა აქვს. ამისთანა ობლები კი არა დედმამიანებიც არა სწავლობენ. შეგიგროვებია ხროვა და გეყოფა, გაირეკე სკოლისკენ. აქ კი არაფერი გესაქმება.

დიუიშენი ადგილიდან წამოიჭრა.

— დაფიქრდით, რას ამბობთ! ობლობა რა ბავშვის ბრალია! განა არსებობს ისეთი კანონი, ობლების სწავლებას რომ კრძალავდეს?

— ეშმაკსაც წაუღია შენი კანონები. მე საკუთარი კანონები მაქვს და თავი გაანებე მბრძანებლობას.

— კანონი ერთი გვაქვს ყველას... თქვენ თუ არა, ჩვენ გვჭირდება ეს ბავშვი, საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდება. იცოდეთ, თუ წინააღმდეგობას გაგვიწევთ, გიბრძანებთ კიდეც!

— ერთი ამას დამიხედეთ! — ბიცოლაჩემმა გამომწვევად შემოიყარა დინჯი. — როგორ ფიქრობ, ვინ უნდა უფროსო-

ზდეს ამ ბავშვს? მე ვაჭმევ და ვასმევ, თუ შენ, მაწანწალას ნაშიერო და თავადაც მათხოვარო!

ვინ იცის, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს, რომ ორმოდან თავი არ ამოეყო წელამდე გაშიშვლებულ ბიძაჩემს. იგი ვერ იტანდა, როცა ცოლი ყველაფერში ეჩრებოდა და ივიწყებდა, რომ ოჯახში ქმარი იყო უფროსი. ბიძაჩემი ამის გამო შეუბრალებლად სცემდა ხოლმე ბიცოლას. ალბათ ახლაც აემღვრა სისხლი.

— ეი, დედაკაცო, — დაიყვირა მან და ორმოდან ამოძვრა, — ეგ როდის მერე გამიუფროსდი ოჯახში, როდიდან გახდი განმკარგულებელი? ნაკლები ილაყბე და მეტი იმუშავე! შენ კი, ტაშტანბეკის ვაჟკაცო, წაიყვანე ეგ გოგო და გინდა ასწავლე, გინდა ცეცხლს მიეცი. აბა, მოუსვი ახლა აქედან!

— მაშ, ასე, არა? მაგან რომ სკოლაში იხეტიალოს, სახლს, ოჯახს ვინ მიხედავს? მე უნდა გავწვდე ყველაფერს? — ხმის აწევა სცადა ბიცოლამ.

მაგრამ ქმარმა დაუტატანა:

— ვთქვი და მორჩა!

ამაზეა ნათქვამი — ზოგი ჭირი მარგებელიაო. აი, როგორ წავედი სკოლაში პირველად.

ამ დღიდან დიუიშენი ყოველ დილით ეზო-ეზო გვაგროვებდა ბავშვებს.

პირველ დღეს სკოლაში მასწავლებელმა იატაკზე დაფენილ ნამჯაზე დაგვსხა და თითო რვეული, ფანქარი და ციცქნა დაფა ჩამოგვირიგა.

— დაფები მუხლებზე დაიწყეთ, უფრო მოხერხებულად დაწერთ, — აგვიხსნა დიუიშენმა.

შემდეგ გვიჩვენა რუსი კაცის პორტრეტი, რომელიც კედელზე იყო მიწებებული.

— ეს ლენინია! — თქვა მან.

სამუდამოდ დავიმახსოვრე ეს პორტრეტი. მას შემდეგ მისი მსგავსი რატომღაც არ შემხვედრია და მას „დიუიშენისეულს“ ვუწოდებდი. ამ სურათზე აღბეჭდილ ლენინს რამდენადმე ხალვათი სამხედრო ფრენჩი ეცვა, ლოყები ჩაცვენილი ჰქონდა, წვერი — მოშვებული, დაჭრილი ხელი კისერზე ჩამოკიდებულ ბაფთაში გაეყარა, კეფაზე გადაწეულ

კეპს ქვემოდან მშვიდად იყურებოდნენ ყურადღებიანი თვალები. მისი თვინიერი, გულის გამათბობელი შემოხედვა თითქოს გვაუწყებდა: „რომ იცოდეთ, ბავშვებო, რა დიდებული მომავალი გელით!“ და მწამდა: იმ დროს ლენინი ნამდვილად ფიქრობდა ჩემს მომავალზე.

ეტყობოდა, რომ ამ უბრალო, საპლაკატო ქაღალდზე დაბეჭდილ პორტრეტს დიუიშენი დიდხანს ინახავდა, რადგან იგი განაკეც ადგილებზე გაცრეცილი იყო და წიბოშემოხეული. ეს ერთადერთი პორტრეტი ამშვენებდა ჩვენი სკოლის ოთხ, გაშიშვლებულ კედელს.

— ბავშვებო, მე გასწავლით კითხვასა და ანგარიშს; გიჩვენებთ, როგორ იწერება ასოები და ციფრები, — გვეუბნებოდა დიუიშენი, — რაც ვიცი, ყველაფერს გასწავლით.

ასეც მოხდა. ამასთან იგი საოცარ მოთმინებას იჩენდა. დიუიშენი თითოეულ მოსწავლესთან იხრებოდა, გვიჩვენებდა, როგორ უნდა გვჭეროდა ფანქარი, შემდეგ კი გატაცებით გვიხსნიდა ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს.

ვფიქრობ ახლა ამაზე და მიკვირს: როგორ შეეძლო ამ მცირემცოდნე ახალგაზრდას, თავადაც რომ დამარცვლით კითხულობდა სიტყვებს, უსახელმძღვანელოდ, თვით ჩვეულებრივი ანბანის გარეშეც კი, ასეთი ჭეშმარიტად დიდი საქმე ეკისრა, ნამდვილი გმირობა გამოეჩინა. ხუმრობა ხომ არ არის, ასწავლო ბავშვებს, რომელთა პაპები და პაპის პაპები ათაბაბადან უწიგნურები იყვნენ. რაღა თქმა უნდა, დიუიშენს წარმოდგენაც არა ჰქონდა რაიმე პროგრამასა და სწავლების მეთოდიკაზე. ფიქრადაც არ მოსვლია ასეთი რამეების არსებობა.

დიუიშენი ისე გვასწავლიდა, როგორც შეეძლო, როგორადაც საჭიროდ ეჩვენებოდა, ერთი სიტყვით — შთაგონებით. და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ მისი პატიოსანი, უბიწო ენთუზიაზმი, რომლითაც იგი საქმეს შეუდგა, უკვალოდ არ გამქრალა.

თვითონაც არ იცოდა, რა გმირობა ჩაიდინა. დიახ, ეს იყო ნამდვილი გმირობა, რადგან მაშინ ყირგიზ ბავშვებს აულის გარდა არაფერი გვენახა. სკოლამ, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ თიხით შელესილ, ჭუჭრუტანებიან შენობას, რომელ-

თა იქით ყოველთვის ჩანდა მთათა თოვლიანი მწვერვალები, უცებ გაგვიხსნა ახალი, აქამდე შეუცნობი სამყარო.

მაშინლა გავიგეთ, რომ ქალაქი მოსკოვი, სადაც ლენინი ცხოვრობს, ბევრად უფრო დიდია, ვინემ აულიე-ათა[1] და თვით ტაშკენტი; რომ დედამიწაზე არის ვეება, ტალასის[2] ველის ხელა ზღვები, რომლებშიც მთების ტოლა გემები დაცურავენ. ისიც შევიტყეთ, რომ ბაზრიდან მოტანილი ნავთი მიწის წიაღში მოიპოვება. იმ დღიდან ვირწმუნეთ: როცა ხალხი უკეთ მოიწყობს ცხოვრებას, ჩვენი სკოლა მოთავსდება დიდ, თეთრ, ფართოფანჯრებიან შენობაში და მასწავლეებიც მაგიდებს მიუსხდებიან.

ჯერ კიდევ ხეირიანად არ ვიცოდით სიტყვების — „დედა", „მამა" — წერა, რომ ქაღალდზე უკვე გამოგვყავდა „ლენინი". ჩვენი პოლიტიკური ლექსიკონი შესდგებოდა ცნებებისაგან: „ბაი", „მოჯამაგირე", „საბჭოები". დიუიშენი შეგვპირდა: ერთი წლის შემდეგ სიტყვა „რევოლუციას" დაგაწერინებთო.

ყურადღებით ვუსმენდით დიუიშენს და თითქოს მასთან ერთად ვიბრძოდით ფრონტებზე თეთრების წინააღმდეგ. ლენინზე კი ისე აღფრთოვანებით მოგვითხრობდა ხოლმე, გეგონებოდათ თავად უნახავსო. ახლა ვხვდები, რომ უმეტესობა მისი მონაყოლიდან ხალხის მიერ იყო შეთხზული დიდ ბელადზე. მაგრამ ჩვენთვის, დიუიშენის მოწაფეებისთვის, ყოველივე უჭეშმარიტესი რამ გახლდათ.

ერთხელ სავსებით გულწრფელად ვკითხეთ დიუიშენს:

— მასწავლებელო, ხელი ჩამოგირთმევიათ ლენინისთვის?

მასწავლებელმა სინანულით გადააქნია თავი უარის ნიშნად:

— არა, ბავშვებო, ლენინი არასოდეს მინახავს. — დამნაშავესავით ამოიგმინა და უხერხულობა შეეტყო.

ყოველი თვის ბოლოს დიუიშენი თავისი საქმეების მოსა-

---

[1] აულიე-ათა — ამჟამად ქალაქი ჯამბული ყაზახეთში.

[2] ტალასი — მდინარე ყირგიზეთსა და ყაზახეთში, აგრეთვე ქალაქი ყირგიზეთში.

გვარებლად ქვეითად მიდიოდა რაიონში და ორი-სამი დღის შემდეგ ბრუნდებოდა.

ძალიან ვდარდობდით იმ დღეებში. ღვიძლი ძმაც რომ მყოლოდა, ასე მოუთმენლად მის მოსვლასაც არ დაველოდებოდი. ჩუმად გამოვიდოდი ხოლმე უკანა ეზოში და მინდორში ჩაკარგულ უსასრულო გზას გავცქეროდი (მეშინოდა — ბიცოლაჩემს არ შევენიშნე). ველოდი, როდის გამოჩნდებოდა მასწავლებელი ზურგზე მოგდებული აბგით, როდის ვნახავდი ჩემი გულის გამთბობ მის ღიმილს, როდის გავიგებდი მის საუბარს, ჩვენ რომ ცოდნით გვავსებდა.

დიუიშენის მოსწავლეებს შორის ყველაზე უფროსი ვიყავი. იქნებ ამიტომ ვსწავლობდი სხვებზე უკეთ, თუმცა, ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი. მასწავლებლის თითოეული სიტყვა, ანბანის თითოეული ასო, რომელსაც იგი გვიჩვენებდა, ჩემთვის წმიდათა წმიდა იყო. და მთელს ქვეყანაზე არაფერი მიმაჩნდა იმაზე მნიშვნელოვნად, — შემეცნო ყოველივე, რასაც დიუიშენი გვასწავლიდა. თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი იმ რვეულს, რომელიც მან მომცა; ამიტომ გამომყავდა ასოები ყველგან ნამგლის წვერით, ნახშირითა თუ წკნელით. და მაშინ მთელ სამყაროში არავინ მეგულებოდა დიუიშენზე განსწავლულ და ჭკვიან კაცად.

ზამთარი ახლოვდებოდა.

სკოლისკენ რომ მივდიოდით, პირველ თოვლამდე ფონს გადავდიოდით ხოლმე ქვიან მდინარეზე, რომელიც ბექობს ქვემოთ მოჩხრიალებდა. შემდეგში კი შეუძლებელი გახდა მდინარის გადალახვა, რადგან ყინულოვანი წყალი ფეხებს გვიწვავდა. განსაკუთრებით ცუდ დღეში იყვნენ პატარები, რომელთაც ხშირად ცრემლებით ევსებოდათ თვალები. მაშინ მათ დიუიშენი ეშველებოდა. ერთს მხრებზე შეისვამდა, მეორეს ამოიიღლიავებდა და ასე მორიგეობით გადაიყვანდა ყველას.

ახლა, როდესაც ამ ამბავს ვიგონებ, დაუჯერებლად მეჩვენება ყოველივე მაშინ კი, ეკონომიისა და დაუფიქრებლობის გამო, ხალხი დასცინოდა დიუიშენს. განსაკუთრებული უდიერობით გამოირჩეოდნენ მდიდრები, რომლებიც მთაში იზამთრებდნენ და ბოლოდ წისქვილისთვის ჩამოდიოდნენ ბაბში.

მათ მელიის წითელი მალახაიები[1] ეხურათ, ცხვრის მდიდრული ქურქები ემოსათ და ნასუქ, ველურ ცხენებზე ისხდნენ. ყოველთვის, როცა ისინი ფონთან ჩასვლისას დაგვიპირდებოდნენ, დიუიშენს მიაშტერდებოდნენ ხოლმე. ერთი მათგანი, სიცილით რომ იჭაჭებოდა, უბიძგებდა მეორეს:

— შეხე, შეხე, ერთს ზურგით მიათრევს, მეორეს—ხელით!

მისი ამხანაგი ცხენს მათრახს გადაუჭერდა და დაამატებდა:

— ვახ, ვახ, რა ვიცოდი, თორემ ეგ უნდა შემერთო მეორე ცოლად!

შემოგვაშხეფებდნენ ცხენთა ფლოქვებიდან ასხლეტილ წყალსა და წუმპეს და ხორხოცით გაგვეცლებოდნენ.

ო, როგორ მწადდა ასეთ შემთხვევაში დავწეოდი ამ რეგვენ ადამიანებს, ხელი მეტაცა ლაგამზე, შემეჩერებინა და მათს დამცინავ სიფათებზე სილასავით გამეწნა: სულელებო, ჩერჩეტებო, როგორ უბედავთ ჩვენს მასწავლებელს!

მაგრამ ვინ იყო საწყალი გოგონას მომსმენი? და მეც უნდა მეყლაპა წყენის მდუღარე ცრემლები. დიუიშენი კი, თითქოს მას არ ეხებოდა ეს შეურაცხყოფა, არც იმჩნევდა წყენას. მოიგონებდა რაიმე სასაცილო ამბავს და გულიანად გვაცინებდა, რათა ყოველივე დავიწყებისთვის მიგვეცა.

ბევრს ეცადა დიუიშენი, რომ მასალა ეშოვა და ხიდი გაედო, მაგრამ საქმეში ხარ? ვინ დაეხმარებოდა? ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებისას, როცა ბავშვების გადაყვანას მორჩა, მე და დიუიშენი მარტონი დავრჩით გამოღმა. გადავწყვიტეთ, ქვებისა და ბელტებისაგან აგვეგო გადასასვლელი, ამიერიდან ფეხები რომ არ დაგვსველებოდა.

კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი იყო საჭირო — ჩვენი აულის მცხოვრებნი ერთხელ მაინც რომ შეკრებილიყვნენ და ორი-სამი მორი გაეგოთ მდინარეზე, ხიდიც მზად იქნებოდა. მაგრამ განუვითარებელი ხალხი მაშინ არ ზრუნავდა სწავლა-განათლებაზე, ხოლო დიუიშენს, უკეთეს შემთხვევაში, ახირებულ ადამიანად თვლიდა, რომელიც უსაქმურობის გამო ჯა-

---

[1] მალახაი — ძველებური (ყურებიანი) გლეხური ბეწვის ქუდი.

ხირობდა ბავშვებთან. გეხალისება — ასწავლე, არადა, გაყარე სახლებშიო. მაშინ, ეოსწავლეების გარდა, ყველანი ცხენებით დაჯირითობდნენ და ხიდსაც არ საჭიროებდნენ. ეხლა-კი უნდა ეფიქრა ხალხს: ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც არაფერით ჩამოუვარდებოდა მათ, რატომ ითმენდა ამდენ გაჭირვებას, უუფლებობას, დაცინვას, შეურაცხყოფას და ასეთი არაჩვეულებრივი შეუპოვრობით, ზეადამიანური დაჟინებით ასწავლის მათს ბავშვებს?

იმ დღეს, ჩვენ რომ მდინარის ტოტზე ქვებს ვაწყობდით, თოვლი უკვე იდო და წყალიც ისე გაყინულიყო, სუნთქვას გვიკრავდა. მიკვირს, როგორ ძლებდა ფეხშიშველი დიუიშენი, იგი ხომ წამითაც არ ამოსულა წყლიდან! მე კი მიჭირდა ფსკერზე ფეხის დადგმა, რადგან იგი ნაკვერჩხლებით მოფენილად მეჩვენებოდა. და აი, შუა მდინარეში კანჭი გამიკავდა. საცოდავად მოვიკაკვე, ვერც დაკივლება შევძელი, ვერც წელში გამართვა. ასე დაკრუნჩხული ვვარდებოდი წყალში. დიუიშენმა ქვას ხელი უშვა, ჩემთან მოიჭრა, ამიტაცა, ნაპირზე გამიყვანა და თავის მაზარაზე დამსვა. იგი ხან გალურჯებულ-გახევებულ ფეხებს მიზელდა, ხან ხელისგულებს მისვამდა გაფშეკილ თითებზე, ხანაც საკუთარი სუნთქვით მათბობდა.

— იჯექი, იჯექი, ალტინაი, გათბი, — მეუბნებოდა დიუიშენი, — მარტოკაც მოვათავებ...

საქმეს მორჩა თუ არა, დიუიშენმა ჩექმები ჩაიცვა; მობუზულ-გაწეწილი რომ მნახა, გაეცინა:

— ჰა, როგორა ხარ, თანაშემწევ, გათბი? მოიხურე ფარაჯა, მოიხურე, აი, ასე! — ცოტა ხანს იყუჩა და მკითხა: — იმ დღეს შენ დატოვე წივა სკოლასთან?

— დიახ.

ულვაშებში ჩაიღიმა ძლივს შესამჩნევად და თითქოს თავისთვის ჩამარცვლა: — „ასეც ვფიქრობდი!“

ღაწვები შემეფაკლა: ესე იგი, მასწავლებელს სცოდნია და არ დავიწყნია ეს თითქოს უბრალო შემთხვევა. ბედნიერებისაგან მეშვიდე ცამდე ავმაღლდი. დიუიშენმაც შემატყო ეს სიხარული.

— ჩემო ანკარა ნაკადო, — თქვა და ალერსიანად შემომ-

ხედა, — ნიჭიერიცა ხარ... ეჰ, შენი გაგზავნა რომ შემეძლოს დიდ ქალაქში, ნამდვილად ბრწყინვალე ადამიანი დადგებოდი!

დიუიშენმა აჩქარებული ნაბიჯებით გასწია ნაბოლარეკენ.

ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იდგა იგი ხმაურიან, ქვებით მოფენილ მდინარეესთან, შემოეწყო ხელები უკან და ფაროოდ გახელილი, ციმციმა თვალებით შესცქეროდა შორეულ თეთრ ღრუბლებს, ქარი რომ მთებს ზემოთ მიერეკებოდა.

რაზე ფიქრობდა ნეტა? იქნებ ოცნებით მართლაც აგზავნიდა დიდ ქალაქში სასწავლებლად? მე კი ვიდექი დიუიშენის ფარაჯაში გახვეული და ვოცნებობდი: „რა იქნება, რომ მასწავლებელი ღვიძლ ძმად მექცეს. მაშინ ხომ შეიძლება კისერზე ჩამოვეკიდო და ჩავიხუტო, თანაც მაგრა დავხუჭო თვალები და ყურში ჩავჩურჩულო ყველაზე საამო სიტყვები? ღმერთო, მიქციე იგი ძმად!“

მაშინ, ალბათ ყველას გვიყვარდა ჩვენი მასწავლებელი კაცურკაცობის, კეთილი ზრახვებისა და ოცნებებისათვის ჩვენს მომავალზე. ბავშვები კი ვიყავით, მაგრამ მაგდენი გვესმოდა, თორემ აბა რა გვაიძულებდა ყოველდღე გვევლო ამ სიშორეზე, ქარისგან სუნთქვაშეკრულები ციცაბო ბექობზე ავსულიყავით და ნამქერში გვეტორლიალა? თვითონვე გვიხაროდა სკოლაში სიარული, ვინ გვატანდა ძალას, ვინ გვაიძულებდა ამ ცივ ფარდულში გათოშვას, სადაც ყოველი ამონასუნთქი ჭირხლად გვედებოდა სახეზე, ხელებსა და ტანსაცმელზე. იმის უფლებასღა ვიტოვებდით, რომ მხოლოდ მორიგეობით გავმთბარიყავით ღუმელთან, როცა დანარჩენები თავიანთ ადგილებზე ისხდნენ და დიუიშენს უსმენდნენ.

ერთ-ერთ ასეთ ცივ დღეს — ეს იყო იანვრის ბოლოს — დიუიშენმა ყვიროა ეზო შემოიარა, თავი მოგვიყარა და, ჩვეულებისამებრ, სკოლისკენ წაგვიძღვა. მასწავლებელი უბრად მიაბიჯებდა, მაცური იერი ჰქონდა, მთის არწივის ფრთებივით გაშლილი წარბები მოეჭმუხნა, სახეც ნაწრთობი რკინისგან ჩამოსხმულს მიუგავდა. მაშინ სულ სხვანაირი იყო ჩვენი მასწავლებელი. მისი შემხედვარე, ჩვენც გავისუსეთ; ვგრძნობდით, რომ მოხდა რაღაც განსაკუთრებული.

როცა გზაში დიდ ნამქერს წავაწყდებოდით, დიუიშენი,

ძველებურად, თვითონ გვიკვალავდა გზას. მას მე მივდევდი. ღანარჩენები კი მე მომყვებოდნენ. ბექობის მისადგომებთან ამჯერადაც ხვავრიელად ებარდნა ღამით. დიუიშენი დაწინაურდა. ზოგჯერ ადამიანს ზურგიდან შეხედავ და მაინც მიხვდები რა დღეშია, რა უტრიალებს სულში. მაშინაც შევამჩნიეთ, რომ ჩვენი მასწავლებელი დარდს გაელია. თავჩაქინდრული დიუიშენი ძლივს მიათრევდა ფეხებს. დღემდე თვალწინ მიდგას ის საშინელი მონაცვლეობა თეთრისა და შავისა: ჩვენ მწკრივად ავდევდით ბექობს — შავი ფარაჯის ქვეშ მოხრილიყო დიუიშენის ზურგი, ზემოთ კი, ფრიალოზე, აქლემის კუზებივით აზვინულიყვნენ თეთრად გადაბარდნილი მწვერვალები, უფრო ზემოთ — თეთრ-მღვრიე ცაზე მიღოღავდა შავი, ეული ღრუბელი.

გაყინულ სკოლაში შევედით, მაგრამ დიუიშენს ღუმელი არ დაუნთია.

— ადექით! — ბრძანა მან.

წამოვიმართენით.

— ქუდები მოიხადეთ!

მორჩილად მოვიშიშვლეთ თავები. თვითონაც მოიგლიჯა „ბუდიონურა“. არ კი ვიცოდით, რატომ. და მაშინ მასწავლებელმა შემზარავად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოთქვა:

— ლენინი გარდაიცვალა! მთელს დედამიწაზე ახლა ფეხზე დგას დამწუხრებული ხალხი. თქვენც დადექით, გაირინდეთ. აქეთ უყურეთ — ამ პორტრეტს. კარგად, კარგად დაიმახსოვრეთ ეს დღე.

სკოლაში ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, გეგონებოდათ იგი ზვავმა მოიმწყვდიაო. ორი რამ ისმოდა მხოლოდ: როგორ დაძრწოდა ქარი ღრიჭოებში და თოვლის ფიფქები როგორი ფაჩუნით ეცემოდნენ ნამჯაზე.

იმ გლოვის ჟამს, როცა მიყუჩდნენ მუდამ მოფუსფუსე ქალაქები და მოზანზარე ქარხნები, ადგილებზე გახევდნენ მოდგანდგარე მატარებლები, როცა მთელი სამყარო ძაძებში ჩაიძირა, ჩვენც — კაცობრიობის ციცქნა ნაწილაკები — სუნთქვაშეკრულნი, ამაყად ვიდექით საპატიო ყარაულში ჩვენს მასწავლებელთან ერთად და სოფლის მიყრუებულ, გაყინულ სკოლაში ვეთხოვებოდით ლენინს; ამასთან ვთვლიდით, რომ

სწორედ ჩვენ ვიყავით მისი უახლოესი, ყველაზე დამწუხრებული ადამიანები. ჩვენი ლენინი კი, რამდენადმე ხალვათი სამხედრო ფრენჩი რომ ეცვა და კისერზე ჩამოკიდებულ ბაფთაში გაეყარა დაჭრილი ხელი, ძველებურად გვიყურებდა კედლიდან. კვლავ გვარწმუნებდა თავისი ნათელი, უმწიკვლო გამოხედვით: „რომ იცოდეთ, ბავშვებო, რა დიდებული მომავალი გელით!“ და მეჩვენებოდა, რომ იმ წუთში იგი ნამდვილად ფიქრობდა ჩემს მომავალზე.

დიუიშენმა სახელოთი შეიმშრალა ცრემლიანი თვალები და თქვა:

— დღეს რაიონში მივდივარ... პარტიაში შესასვლელად. სამი დღის შემდეგ დავბრუნდები...

სწორედ ზამთრის ის სამი დღე იყო ყველაზე მკაცრი ჩემს ცხოვრებაში. თითქოს ბუნების უძლიერესი ძალები ცდილობდნენ, შეევსოთ ჩვენგან წასული დიდი ადამიანის ადგილი: განუწყვეტლივ ზუზუნებდა ანჩხლი ქარი, ბობოქრობდა თოვლიანი ქარბუქი, რკინასავით რეკდა ყინვა... არ ცხრებოდა სტიქია: ბუბუნებდა, ქვითინით ენარცხებოდა მიწას...

მიწყნარდა მთებს შეყუჟული ჩვენი აული, ფარა-ფარა მიმღოღავ ღრუბლებქვეშ გაყუჩდა. თოვლში ჩაყვინთული საკვამურებიდან თხლად იწელებოდა კვამლი, ხალხი ფეხს არ ადგამდა შინიდან. მგლებიც გამძვინვარდნენ. სულ აიგდეს თავი — დღისითაც გამოდიოდნენ გზებზე, ღამით კი აულის სიახლოვეს დაძრწოდნენ და დამშეულები გათენებამდე საზარლად ყმუოდნენ.

ჩემს მასწავლებელზე ვდარდობდი: ნეტა როგორ გრძნობს თავს ასეთ სიცივეში უქურქოდ, ფარაჯის ამარა. იმ დღეს კი, როცა დიუიშენი უნდა დაბრუნებულიყო, სულ ამებნა თავგზა, გული მიგრძნობდა რაღაც სიავეს. გამოვვარდებოდი ხოლმე სახლიდან, დავაცქერდებოდი თოვლით გადაპენტილ უკაცრიელ ველს, მაგრამ ვერავინ დავლანდე.

„სადა ხარ, ჩვენო მასწავლებელო? გემუდარები, ნუ დაიგვიანებ, მალე დაგვიბრუნდი, გიცდით, გესმის, მასწავლებელო, გიცდით!“

მაგრამ სტეპი არ პასუხობდა ჩემს უხმო თხოვნაზე და უნებლიეთ ვქვითინებდი.

ბიცოლაჩემს გული გაუწყალა ჩემმა დაუდეგრობამ.

— დააყენებ თუ არა საშველს მაგ კარებს? დაეგდე და ართე. ვერა ხედავ, — ბავშვები გამიცივე! გარეთ გასული არ დაგინახო, თორემ! — თითით დამემუქრა იგი და მეტად აღარ გამიშვა ეზოში.

ბინდდებოდა. მე კი ჯერაც არაფერი ვიცოდი მასწავლებლის შესახებ. ნერვიულობისაგან ადგილს ვერა ვპოულობდი. ხან თავს ვიიმედებდი, — დიუიშენი უკვე აულში იქნებამეთქი. სიტყვის გატეხა არა სჩვევია ჩვენს მასწავლებელს! ხან მეჩვენებოდა, რომ იგი ავად გახდა და ნელ-ნელა მოკელანობდა. ქარბუქი რომ ამოვარდეს! სტეპში ხომ წამსვე აერევა გზა? საქმე წინ არ მიდიოდა. ნართი წამდაუწუმ მიწყდებოდა და ბიცოლაჩემიც ცოფებს ყრიდა:

— რა მოგივიდა დღეს, შე შეჩვენებულო, რამ გაგიშეშა ეგ ხელები? — მძვინვარებდა იგი და მიბღვერდა. მერე კი მასაც გაუწყდა მოთმინების ძაფი: — სიკვდილი შენ და არგადარჩენა! წადი და თავისი ტომარა მაინც მიუტანე ბებერ საიკალის.

კინაღამ შევხტი სიხარულისაგან. დიუიშენი ხომ სწორედ ამ მოხუცთან ცხოვრობდა. საიკალი და მისი ქმარი — კარტანბაი ჩემი შორეული ნათესავები იყვნენ დედის მხრიდან. ადრე ხშირად ვყოფილვარ მათთან და ღამეც კი გამითევია. არ ვიცი, ეს მოაგონდა ბიცოლაჩემს თუ თვით ღმერთმა უკარნახა, ტომარა შემაჩეჩა და დაამატა:

— დღეს ისე შემაზარე თავი, როგორც ქუმელმა შიმშილიან წელიწადს. წადი და, თუ მოხუცებმა ნება დაგრთეს. ამაღამ მათთან დარჩი. მომწყდი ახლა თავიდან...

ეზოში გამოვვარდი. ქარი შამანივით[1] შმაგობდა; მგუდავდა, კვლავ მოულოდნელად მესხმოდა თავს, გახურებულ სახეში ბღუჯა-ბღუჯა მაყრიდა მსუსხავ თოვლს. ტომარა იღლიაში ამოვიჩარე და ცხენის ფლოქვებით ახალგაკვალული დატოტვილი ბილიკით გავქანდი აულის მეორე ბოლოში. თავში კი ერთი აზრი მიტრიალებდა: „ნეტა თუ დაბრუნდა მასწავლებელი?“

---

[1] შამანი — ჯადოქარი, გრძნეული. ზოგ ხალხში — მკურნალ-ჯადოქარი.

მალე მივირბინე კიდეც, მაგრამ მასწავლებელი შინ არ დამიხვდა. საიკალი შეშინდა, როცა ზღურბლზე გავქვავდი. სულს ძლივს ვიბრუნებდი.

— რა მოგივიდა? რატომ მორბოდი ასე, ხომ არაფერი შეგემთხვა?

— არა, ისე მოვრბოდი. აი, ტომარა მოგიტანეთ. შეიძლება ამაღამ თქვენთან დავრჩე?

— დარჩი, გეთაყვა. უ, შე გლახა, შემაშინე მოხუცი. რატომ ერთხელ მაინც არ შემოგვიარე შემოდგომის მერე? დაჯექი ცეცხლთან, გათბი.

— შენ კი, დედაკაცო, ხორცი მოხარშე, სტუმარს გაუმასპინძლდი. საცაა დიუიშენიც მოვა, — გამოგვეხმაურა კარტანბაი, რომელიც ფანჯარასთან იჯდა და ძველ თექურას აკერებდა. — ისე კი დააგვიანდა, მაგრამ არა უშავს, დრო კიდევ არის, მოაღწევს დაღამებამდე. ჩვენი ცხენი შინისკენ მოთოხარიკობს ხოლმე.

ღამე შეუმჩნევლად მიეპარა ფანჯრებს. თითქოს საგუშაგოზეაო, გული უმალვე გამიყუჩდებოდა, როცა ძაღლები დაიყეფებდნენ, ან ადამიანთა ხმა მოაღწევდა ჩვენამდე. დიუიშენი კი არა და არ ჩანდა. კიდევ კარგი, საიკალის საუბარში დრო გადიოდა.

ასე ველოდით დიდხანს, შუაღამისას კი კარტანბაის ქანცი გაუწყდა:

— მიდი, დედაკაცო, ლოგინი დააგე, აღარ მოვა ამაღამ, გვიანაა უკვე. განა ცოტა საქმე აქვთ უფროსებს? მათ დააყოვნეს ალბათ, თორემ აქამდე შინ იქნებოდა.

მოხუცი დასაწოლად მოემზადა.

მე ღუმელს უკან, კუთხეში დამიგეს ლოგინი. დავწექი, მაგრამ თვალი ვერ მოვლულე. მოხუცი სულ ახველებდა, შამფურივით ტრიალებდა, ლოცვებს ჩურჩულებდა; მერე ის იყო, ჯავრიანად ამოღერღა:

— მოშივდებოდა ჩემს ცხენს. რაიონში ერთ ბღუჯა თივასაც ვერ ითხოვ, ქერს ხომ საყიდლადაც ვერ იშოვი.

კარტანბაიმ მალე დაიძინა, მაგრამ ახლა ქარს არ დაადგა საშველი. სახურავს ჩითავდა, ხეშეში ხელებით ფუტკნიდა

ლაფაროს, მინას ეხვეტებოდა. ქარაშოტი კედლებს ეხეთქებოდა.

მოხუცის სიტყვებმა ვერ დამაიმედეს. მაინც ველოდი მასწავლებელს. სულ უკაცრიელ თოვლში მომავალი დიუიშენი მელანდებოდა. არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა. უცებ რაღაც ძალამ ბალიშიდან ამგლიჯა. სტომაქცარიელი ცხოველის ყმუილმა გადაუარა მიწას და სადღაც ჰაერში გაიყინა. მგელი! უამრავი მგელი! სხვადასხვა მხრიდან აყმუვლებული მგლები სწრაფად კრავდნენ წრეს. მათი ყმუილი ერთ გაბმულ ხმად შენივთდა, რომელიც ქართან ერთად დაძრწოდა მინდორში და ხან შორიდან მოისმოდა, ხანაც ახლოვდებოდა. ზოგჯერ იფიქრებდი, მგლები სადღაც აულის ბოლოს არიანო.

ქარბუქს უხმობენ! — წაიბუტბუტა საიკალმა.

კარტანბაი გაილესა, მიაყურადა, მერე სწრაფად წამოხტა საწოლიდან:

— არა, დედაკაცო, ტყუილა არ ყმუიან! უთუოდ ვიღაცას მოსდევენ. იქნებ ადამიანს ან ცხენს იმწყვდევენ ალყაში. გესმის? ღმერთო, დაიფარე დიუიშენი. თავს წააგებს! — აფორიაქდა კარტანბაი, სიბნელეში ქურქს დაუწყო ძებნა. — სინათლე, სინათლე, დედაკაცო! მალე აანთე, თუ ღმერთი გწამს!

წამოვხტით შიშდაკრულები. ვიდრე საიკალმა ლამპა იპოვა და აანთო, მგლების გაავებული ყმუილიც მიწყდა.

— წამოეწივნენ წყეულები! — იყვირა კარტანბაიმ, კაუჭა ჯოხს ხელი წამოავლო და ის იყო გარეთ გავარდნას აპირებდა, რომ ძაღლები აყეფდნენ. ვიღაცამ ჭრაჭუნით ჩაურბინა ფანჯარას და ღონივრად, მოუთმენლად დააბრახუნა კარებზე.

ოთახში შემოვარდა ყინულოვანი ღრუბლის ქულა. როცა იგი გაიფანტა, ხელთ შეგვრჩა დიუიშენი. ფერი წასვლოდა, სული ეხუთებოდა, ძლივს იდგა ფეხზე. იგი ზღურბლზე გადმობობღდა და კედელს მიეყრდნო.

— თოფი! — სუნთქვას ამოაყოლა დიუიშენმა.

ჩვენ თითქოს ვერაფერს მივუხვდით. თვალთ დამიბნელდა და ისღა მესმოდა, როგორ მოსთქვამდნენ მოხუცები:

— შავი ცხვარი შემოგვიწირავს, თეთრი ცხვარი შემოგვიწირავს! გფარავდეს წმინდა ბაუბედინი! ნუთუ შენა ხარ?

— თოფი! — არ იშლიდა დიუიშენი.

— რას ამბობ, რა თოფი, რის თოფი, არა გვაქვს, საით?!

მოხუცები დიუიშენს ჩააფრინდნენ.

— ჯოხი მაინც მომეცით!

მოხუცები ხვეწნად იქცნენ:

— ცოცხალი თავით ვერსად გაგიშვებთ, ჩემო კარგო, გვირჩევნია აქვე დაგვხოცო!

უცებ საშინელმა სისუსტემ დამიარა მთელს სხეულში და უხმოდ მივეგდე საწოლზე.

— ჰაი, დედასა! ზედ სახლთან არ წამომეწივნენ! — ამოიხავლა დიუიშენმა და მათრახი კუთხეში მოისროლა. — ცხენი გზაშივე დამეღალა, შემდეგ ის იყო მგლები დაგვედევნენ; აულამდე კი მოვაღწიეთ, მაგრამ არაქათგამოცლილი ცხენი ძნასავით წამოიქცა. სწორედ მაშინ ეძგერნენ მგლები.

— რა უშავს მერე, ეგ არაფერი! მთავარია, რომ თავად ვადარჩი. კიდევ კარგი, ცხენი დაეცა, თორემ შენც დაიღუპებოდი! დიდება მფარველ ბაუბედინს, ყველაფერი ასე რომ დამთავრდა. ახლა გაიხადე, ცეცხლთან დაჯექი. მოდი, ჩექმებს გაგაძრობ, — ფუსფუსებდა კარტანბაი, — შენ კი, დედაკაცო, დაფაცურდი, საჭმელი შეათბე.

ისინი ცეცხლს მიეფიცხნენ და კარტანბაიმაც შვებით ამოისუნთქა.

— კარგი, რაც იყო, იყო, მაგრამ ასე გვიან რატომ წამოხვედი რაიონიდან?

— სხდომა გაგრძელდა, კარაკე[1]. პარტიაში შევედი.

— ეგ კარგია. მაგრამ ხვალ დილით წამოვიდოდი, ვინ გაძალებდა?

— ბავშვებს შევპირდი. ხვალ მეცადინეობა გაგვიცდებოდა სკოლაში.

— სულელო! — ბრაზისგან წამოხტა კიდეც კარტანბაი და თავი გაიქნია — გესმის, დედაკაცო, თურმე იმ ცინგლიან ბავშვებს შეპირდა! რას ამბობ, რას! მგლებს რომ დაეგლიჯეთ?

— რას იზამ, კარაკე, სამსახური, მოვალეობა... მე კიდევ ის მაწუხებს, ცხენი რატომ გთხოვეთ. აქამდე სულ ფეხით

[1] კარაკე — იგივე კარტანბაი (საალერსო ფორმა).

დავდიოდი, ახლა რა ეშმაკი შემიჩნდა. თითქოს მგლების დასახრავად გთხოვეთ **ცხენი...**

— კარგი ერთი! წყალსაც წაუღია ეგ ჯაგლაგი. შენი შესაწირავი იყოს! — გაგულისდა კარტანბაი, — მთელი საუკუნე გავძელი უცხენოდ, არც ახლა დავიქცევი. იხაროს საბჭოთა ხელისუფლებამ და... კიდევ შევიძენ...

— სწორია, მოხუცო, — ხმის კანკალით გამოეხმაურა ცრემლმორეული საიკალი, — კიდევ შევიძენთ, მააშ! აჰა, შვილო, შეხვრიპე, სანამ ცხელია..

მცირე ხანს იყუჩეს. შემდეგ კარტანბაიმ ცეცხლწაკიდებული წივა გაქექა და სიჩუმე დაარღვია:

— გიყურებ, დიუიშენ, და... თითქოს უჭკუო ახალგაზრდა არ ჩანხარ, ოღონდ ვერაფრით გამიგია, რატომ ჯახიროობ ამ ბენტერა ბავშვებთან სკოლაში? მწყემსად დაუდექ ვისმეს, თბილადაც იქნები და მაძღრადაც...

— დარწმუნებული ვარ, კარაკე, რომ კეთილი სურვილები გაქვს ჩემდამი... მაგრამ ეს ბენტერებიც თუ თქვენსავით იმსჯელებენ, — რად გვინდა სკოლა და სწავლაო, მაშინ დღემოკლე იქნება საბჭოთა ხელისუფლება. თქვენ კი ხომ გსურთ მისი დღეგრძელობა. ამიტომაც სკოლა ჩემთვის მძიმე ტვირთი როდია, კარაკე. უკეთ რომ შემეძლოს ბავშვების სწავლება, სხვა არაფერზე ვიფიქრებდი. აი, ლენინიც ხომ ამბობდა...

— სიტყვაზე ვამბობ... — საუბარში ჩაერია კარტანბაი და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო: — თავს რომ იკლავ, ჩემო კარგო, ცრემლებით ხომ ვერ გააცოცხლებ ლენინს? ეგეთი ძალა რომ იყოს ქვეყანაზე!.. იქნებ გგონია, სხვები არ წუხან, არ დარდობენ?.. აბა, აქ ჩამხედე, გული მეწვის. არ ვიცი მიუდგება თუ არა ეს შენს პოლიტიკას, და თუმცა ლენინი სხვა რწმენის კაცი იყო, მის თავს დღეში ხუთჯერ ვავედრებ ღმერთს. ზოგჯერ კი მგონია, დიუიშენ, მე და შენ რამდენიც არ უნდა ვიტიროთ, ფუჭად ჩაგვივლის ყველაფერი. და აი, მე ჩემებურად, გლეხურად, ვფიქრობ: ლენინი სამუდამოდ დარჩა ხალხის გულში, დიუიშენ, და ასე გადავა ერთი თაობიდან მეორეზე, მამიდან — შვილზე, შვილიდან — შვილიშვილზე...

— მადლობა, კარაკე, მადლობა ამ სიტყვებისთვის. სწორად მსჯელობთ, სწორად. ლენინი წავიდა ჩვენგან, მაგრამ ჩვენ ლენინისეული საზომით გავზომავთ ყველაფერს, მისი მაგალითით ვიცხოვრებთ.

ვუსმენდი მათ საუბარს და თითქოს სადღაც შორეთიდან ნელ-ნელა ვუბრუნდებოდი საკუთარ თავს. ჯერ ყველაფერი სიზმარს ჩამოჰგავდა. ვერ წარმომედგინა, რომ დიუიშენი საღსალამათი დაბრუნდა. შემდეგ კი ჩემს ხუნდებახსნილ სულში გაზაფხულის ნიაღვარივით შემოთქრიალდა დაუოკებელი სიხარული და... ქვითინი მოვრთე. ალბათ ასე არავის გაუხარია ჩემამდე. იმ წუთში ჩემთვის არაფერი არსებობდა დედამიწის ზურგზე: არც ეს შელესილი ქოხი, არც ქარიშხლიანი ღამე, არც მგლების ხროვა, რომელიც კარტანბაის ერთადერთ ცხენს ძიძგნიდა! მთელი გულით, გონებით, მთელი არსებით ვგრძნობდი უკიდეგანო, უსასრულო ბედნიერებას. საბანი თავზე მოვიხურე და პირი მოვკუმე, რათა არავის გაეგონა ჩემი ხმა. დიუიშენმა მაინც იკითხა:

— ეს ვინ სლუკუნებს ღუმელის უკან?

— ეგ ალტინაია, შეშინდა გოგო და ტირის, — თქვა საიკალმა.

— ალტინაი? საიდან? — დიუიშენი წამოხტა, ჩემს სასთუმალთან ჩაიჩოქა და მხრებზე მომავლო ხელი: — რა მოგვიდა, ალტინაი? რატომ ტირი?

მე კი კედლისკენ შევბრუნდი და უარესად ავზლუქუნდი.

— რაო, ჩემო კარგო, აგრერიგად რამ შეგაშინა? ასე არ შეიძლება, შენ ხომ დიდი გოგონა ხარ... აბა, შემომხედე...

მაგრა მოვეხვიე დიუიშენს, ანთებული, სველი სახით მხარზე მივეკარი და თავშეუკავებლად ვქვითინებდი. ციებცხელებასავით მომაწვა სიხარული და თავს ვეღარ ვიოკებდი.

— გული თუ შეუქანდა ბავშვს! — შეწუხდა კარტანბაი და ისიც წამოდგა ქეჩიდან. — აბა, დედაკაცო, ხმა ამოიღე, წაუჩურჩულე შელოცვა შენებურად, ცოცხლად, ცოცხლად...

ერთბაშად ყველანი აფორიაქდნენ. საიკალი შელოცვებს ბუტბუტებდა, ხან ცივ, ხანაც თბილ წყალს მასხურებდა, ორთქლს მავლებდა და ჩემთან ერთად ტიროდა.

ნეტავი სცოდნოდათ, რომ გული მართლაც შემიქანდა უდიდესი ბედნიერებისაგან, რომლის გამხელაც არ შემეძლო.

ბოლოს დავწყნარდი და დავიძინე; ამ ხნის მანძილზე დიუიშენი წუთითაც არ მომცილებია და შეცივნული ხელებით მიგრილებდა გახურებულ შუბლს.

ზამთარმა უღელტეხილს გადაალაჯა, გაზაფხული კი თავის ლურჯ ჯოგებს მოერეკებოდა. გალხობილი, ტენით გაჟღენთილი დაბლობებიდან მთებისკენ გაემართნენ ჰაერის თბილი ნაკადები, რომლებსაც თან მიჰქონდათ გაზაფხულის მიწისა და ახალმოწველილი რძის სურნელი. ნამქერი ჩაილია, მთაში დაიძრა ყინული, იფეთქეს გზადაგზა მოწკანწკარე რუებმა, ჩარეცხილი ღრანტეები აავსეს და მოსკდნენ მქუხარე, ყოვლის წამლეკავ მდინარეებად.

იქნებ სწორედ ეს იყო ჩემი ყმაწვილქალობის პირველი გაზაფხული, ადრინდელებზე ულამაზესად რომ მეჩვენებოდა.

ჩვენი სკოლის ბექობიდან გაზაფხულის უმშვენიერესი სამყარო გადაშლილიყო. თითქოს ფეხადგმული მიწა მთებიდან ბარში მოექანებოდა და თავშეუკავებლად მიჰქროდა მზესა და ფაფუკ ბურუსში გახვეულ, ვერცხლისფრად მოციმციმე სტეპების შორეთში. სადღაც, ცხრა მთას იქით, ლურჯად ლივლივებდნენ ყინულის საფარახდილი ტბები, ჭიხვინებდნენ ცხენები, მიფრინავდნენ წეროები, ფრთებით რომ ეზიდებოდნენ თეთრად მოფუთფუთე ღრუბლებს. ნეტა საიდან მოფრინავდნენ ეს წეროები, ან საით გვიხმობდნენ ასეთი მწუხარე და გამყივანი ხმით?..

გაზაფხულმა გაგვახალისა. ათასგვარ თამაშობას ვიგონებდით, უმიზეზოდ ვიცინოდით, ხოლო გაკვეთილების შემდეგ შინისკენ გამოვრბოდით ერთი აურზაურითა და ტკარცალით, ხმამაღლა ვეხმიანებოდით ერთმანეთს. ბიცოლაჩემს სწყინდა ყოველივე ეს და მუდამ მიწყრებოდა:

— რას დათოხარიკობ, ჩერჩეტო? მგონი სულაც არ გაწუხებს, ხელში რომ ჩაგვაბერდი! შენი კბილანი დიდი ხანია დათხოვდნენ და ოჯახს ნათესავები შემატეს. შენ კი... იშოვე საქმე და სკოლაში დაეხეტები... დამაცადე, მოგიგდებ ხელში...

გამოგიტყდებით, ჩირადაც არ ვაგდებდი ბიცოლაჩემის მუ-

ქარას, რადგან იგი დღენიადაგ ილანძღებოდა და შეჩვეული ვიყავი. ხოლო რაც შეეხებოდა ჩემს შინაბერობას, უსამართლო საყვედური იყო. უბრალოდ, ტანი ავიყარე ამ გაზაფხულზე.

— ჯერ კიდევ ერთი პატარა, თმაგაჩეჩილი გოგონა ხარ, — იცინოდა დიუიშენი, — ამასთან, მგონი წითურიც!

მისი ნათქვამი სულაც არ მწყინდა. გულში კი ვფიქრობდი: თმაგაჩეჩილი კი ვარ, მაგრამ არც თუ მთლად წითური. სანამ ნამდვილი საპატარძლო გავხდები, ფერსაც შევიცვლი. მაშინ მნახოს ბიცოლაჩემმა, რა ლამაზი ვიქნები. აკი ამბობს დიუიშენი: თვალები ვარსკვლავივით გიციმციმებს და სხივმოსილი სახე გაქვსო!

ერთხელ, სკოლიდან რომ მოვირბინე, ჩვენს ეზოში ორი უცხო ცხენი შევნიშნე. უნაგირსა და აკაზმულობაზე ეტყობოდა, მათი მხედრები მთებიდან ჩამოსულიყვნენ. მერე რა? უწინაც შემოუხვევიათ ჩვენთან ბაზრიდან ან წისქვილიდან მობრუნებულებს.

ზღურბლზე გადაბიჯებისას უსიამოდ ჩამესმა ბიცოლაჩემის არაბუნებრივი კისკისი: „რატომ ძუნწობ, ძმისწულო, ნუ გეშინია, არ გაღარიბდები სამაგიეროდ, კეთილად მომიგონებ, როცა ხელში ჩაგიგდებ გვრიტუნიას, ხი-ხი-ხი!“ პასუხად ხორხოცი მოისმა, მაგრამ მე რომ დამინახეს, წამსვე გაყუჩდნენ. ალმოდებული კუნძივით სახეალეწილი, ზონზროხა კაცი ქეჩაზე გაშლილ სუფრას მისჯდომოდა. მან ქვეშ-ქვეშ გამომხედა თვალებზე ჩამოფხატულ მელიას ბეწვის ქუდიდან, ჩაახველა და თვალები დახარა.

— მოხვედი, შვილო? შემოდი, გენაცვალე! — ტკბილი ღიმილით შემომხვდა ბიცოლა.

ქეჩის კიდეზე მჯდომი ბიძაჩემი კარტს ეთამაშებოდა ვიღაც უცნობს. ისინი თან არაყს სვამდნენ და ბეშბარმაკს[1] შეექცეოდნენ. ორივენი გამომტყვრალიყვნენ და კარტის მოქნევისას უცნაურად აცანცარებდნენ თავებს.

ჩვენი რუხი კატა სუფრას მიეპარა, მაგრამ წითელსიფათამ ისე გამეტებით ხეთქა თავში, რომ კატამ მწარედ დაიკნავლა,

---

1 ბეშბარმაკი — ეროვნული საჭმელი.

ფეერდზე გახტა დარეტიანებული და კუთხეში მიიყუჟა. ალბათ ძალიან სტკიოდა თავი საწყალ კატას! მინდოდა იქაურობას გავცლოდი, მაგრამ როგორ მომეხერხებინა? ისევ ბიცოლამ შიხსნა.

— შვილიკო, — მითხრა მან, — მანდ, ქვაბში, საჭმელია და ჭამე, გენაცვალე, სანამ გაცივდებოდეს.

ეზოში გავედი. ბიცოლაჩემის უცნაური ქცევა მაშფოთებდა და უნებურად დავძაბე ყურადღება.

ორიოდე საათის შემდეგ ცხენოსნებმა მთებისკენ გასწიეს. ბიცოლაჩემმა მყისვე ამავსო ლანძღვა-გინებით და გულზე მომეშვა. „ჩანს, იგი სიმთვრალის გამო იყო ასეთი ალერსიანი.“ — გადავწყვიტე მე.

გავიდა დრო. ერთხელ საიკალი მოვიდა ჩვენთან. ეზოში ვიყავი, მაგრამ მაინც მოვკარი ყური მის ნათქვამს:

— რას ამბობ, შე უღმერთო! დაღუპავ ბავშვს.

ისინი ცხარედ კამათობდნენ რაღაცაზე და სიტყვას აწყვეტინებდნენ ერთმანეთს; ბოლოს კი მოხუცი საიკალი ძალზე გაჯავრებული გამოვიდა სახლიდან. მან ერთდროულად წყრომითა და დანანებით შემომხედა და უხმოდ წავიდა. ცუდ გუნებაზე დავდექი. რატომ შემომხედა ეგრე, ნეტა რა ვაწყენინე?

მეორე დღეს სკოლაში მაშინვე შევნიშნე, რომ დიუიშენი მოწყენილი იყო და რაღაც აწუხებდა. არ იმჩნევდა კი. გარდა ამისა, რატომღაც ჩემსკენ არ იყურებოდა. გაკვეთილების შემდეგ, ჯგროდ რომ გამოვედით სკოლიდან, დიუიშენმა დამიძახა:

— დაიცა, ალტინაი! — მასწავლებელი მომიახლოვდა, თვალებში ჩამხედა და ხელი მხარზე დამადო. — ნუ წახვალ შინ, ალტინაი. ხომ გამიგე?

შიშისგან გავხევდი. ახლაღა მივხვდი, რას მიპირებდა ბიცოლაჩემი.

— შენს მაგივრად მე მივცემ პასუხს, — თქვა დიუიშენმა. — ჯერჯერობით ჩვენთან იცხოვრებ, უჩემოდ ნურსად წახვალ.

ალბათ გავფითრდი. დიუიშენმა ნიკაპი ამიწია, კვლავ თვალებში ჩამხედა და ძველებურად გამიღიმა,

— ნუ გეშინია, ალტინაი! — გაიცინა მან, — როცა შენ-

თან ვარ, ნურავისი შეგეშინდება. იმეცადინე, ჩვეულებრივად იარე სკოლაში და ნურაფერზე იფიქრებ... თორემ ხომ ვიცი, რა მშიშარაცა ხარ... რამდენი ხანია შენთვის უნდა მეთქვა... — ალბათ რაღაც სასაცილო მოაგონდა და გაიცინა. — გახსოვს, მაშინ კარაკე რომ ადგა დილაადრიან და ხადღაც გაქრა. ვხედავ, მოჰყავს — ვინ, თუ მიხვდები? — ექიმბაში, ჯაინაკოვების ბებრუცუნა. რატომ მოიყვანეთ-მეთქი, — ვეკითხები. იშამანოსო, — მეუბნება, — თორემ ალტინაის გული შეუქანდაო შიშისგან. მე კი ვეუბნები: მოაშორეთ აქედან, ეგ ერთ ცხვარს წაგვართმევს მაგ შამანობაში, ჩვენ კი არც ისე მდიდრები ვართ-მეთქი. ცხენსაც ვერ ვაჩუქებთ. აკი მგლებს შევაჭამეთ ჩვენი ცხენი... შენ კი გეძინა. როგორც იქნა, მოვიცილე. კარაკე კი ერთ კვირას მებუტებოდა. იწყინა მოხუცმა. შენო ცუდ დღეში ჩამაგდეო. მაინც კარგები არიან ეს მოხუცები. სიკეთით აღსავსენი. ახლა კი შინ წავიდეთ, ალტინაი...

ვცდილობდი, მასწავლებლისთვის დაუმსახურებელი წყენა არ მიმეყენებინა. უსიამოვნო ფიქრები კი ჯანღივით მეხვია. ბიცოლას ხომ ნებისმიერ დროს შეეძლო მოვარდნა და ჩემი ძალით წაყვანა. იქ კი თავიანთი სურვილისამებრ მომექცეოდნენ. აბა ვინ გამომექომაგებოდა აულში! უბედურების მოლოდინში თვალი არ მომილულავს.

დიუიშენმა, რასაკვირველია, იცოდა ჩემი გასაჭირი. და ალბათ ჩემთვის მწუხარება რომ გაეფანტა, .მეორე დღეს სკოლაში ორი ნერგი მოიტანა. გაკვეთილების შემდეგ მან ხელი ჩამავლო და გვერდზე გამიყვანა.

— ახლა მე და შენ, ალტინაი, ერთ საქმეს შევუდგებით,— გამანდო მან და უცნაურად გაიღიმა. — აი, ეს ალვის ხის ნერგები შენთვის მოვიტანე. მოდი, დავრგოთ. სანამ ისინი დაიზრდებ-მოლონიერდებიან, შენც ფრთებს გაშლი და კარგი ადამიანი დადგები. შენ კეთილი ხარ, ნიჭიერი. მე მგონია, მგონია კი არა, მჯერა, რომ სწავლული გამოხვალ. აი, ნახავ, ასე გაწერია შუბლზე. შენ ახლა ამ ალვის ხის ნერგებივით ნორჩი ხარ. მოდი, ჩვენ თვითონ დავრგოთ ისინი, ალტინაი. დაე, შენი ბედნიერება სწავლაში იყოს, ჩემო მოციმციმე ვარსკვლავო...

. ნერგები ჩემი სიმაღლისანი იყვნენ, ნორჩები, რუხტანიანები. როცა ისინი სკოლის სიახლოვეს დავრგეთ, მთებიდან ნიავმა დაჰქროლა და ისე შეარხია მათი ციცქნა ფოთლები, თითქოს სული ჩაუდგაო. შეტოკდნენ ფოთლები, შეთრთოლდნენ პაწაწკინტელა ნერგები...

— შეხედე, რა კარგები არიან! — გაიცინა განზე გამდგარმა დიუიშენმა, — ახლა კი რუ მივუგდოთ ა, იმ წყაროდან. მერე ნახავ, რა ლამაზი ალვის ხეები დაიზრდებიან! ისინი აქ, ბექობზე, გვერდიგვერდ იდგომებიან ძმებივით. ყველა მხრიდან საჩინონი იქნებიან და კეთილ ადამიანებს გაახარებენ. მაშინ ცხოვრებაც სხვანაირი იქნება, ალტინაი. ჯერ ყველაფერი წინაა...

ახლაც ვერ მიპოვნია სიტყვები დიუიშენის კეთილშობილების გამოსახატავად. ვიდექი და ისე შევყურებდი, თითქოს პირველად დამენახოს მისი ნათელმოსილი სახე, სინაზითა და სიკეთით აციალებული თვალები; თითქოს ადრეც არ შენახოს მისი გამრჯე და მოქნილი ხელები, მისი წმინდა, ნათელი ღიმილი, გულს რომ მითბობდა მუდამ. მხურვალე ტალღასავით მომედო უხილავი სამყაროდან მოვარდნილი ჩემთვის აქამდე უცნობი გრძნობა. და შინაგანად გამიწია გულმა დიუიშენისკენ, რათა მეთქვა: „მადლობელი ვარ თქვენი, მასწავლებელო, დიდად მადლობელი... მინდა მოგეხვიოთ და გადაგკოცნოთ!“ მაგრამ ვერ გავბედე, შემრცხვა. ჯობდა კი...

ჩვენ მაშინ კამკამა ცის ქვეშ ვიდექით ბექობზე, გაზაფხულით ამწვანებულ მთისწინეთთან და ჩვენ-ჩვენი საფიქრალი გვქონდა. მაშინ სრულიად გადამავიწყდა რა განსაცდელიც მელოდა. არც იმაზე მიფიქრია, რატომ არ მეძებდა ბიცოლა-ჩემი ორი დღის განმავლობაში. იქნებ დავავიწყდი, იქნებ თავი გამანებეს? მაგრამ ამაზე თურმე დიუიშენი ფიქრობდა.

— ძალიან კი ნუ იდარდებ, ალტინაი, ვიპოვით გამოსავალს, — მითხრა მან აულში დაბრუნებისას, — ზეგ რაიონში წავალ. იქ შენზე მექნება საუბარი. იქნებ მოვახერხო და ქალაქში გაგგზავნო სასწავლებლად. წახვალ?

— როგორც მირჩევთ, მასწავლებელო!

ვერც კი წარმომედგინა, როგორი იქნებოდა ქალაქი, მაგრამ საკმარისი იყო დიუიშენის ნათქვამი, რომ იქაურ ცხოვ-

რებაზე ფიქრს გავეტაცე. ხან მეშინოდა კიდეც ყოველივე იმისა, რაც უცხო მხარეში მელოდა, ხანაც მზად ვიყავ გასამგზავრებლად. ერთი სიტყვით, ქალაქზე ფიქრი არ მახვევნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღესაც სკოლაში ისევ იმაზე ვფიქრობდი როგორ და ვისთან ვიცხოვრებდი ქალაქად. ოღონდ კი ვისმეს შევეკედლებინე და — შეშას დავაპობდი, წყალს ვზიდავდი, ვრეცხავდი, ყველაფერს გავაკეთებდი, რასაც მიბრძანებდნენ. ამ ფიქრში რომ ვიყავ გაკვეთილზე, უცებ შევკრთი მოულოდნელობისაგან — ჩვენი სკოლის ბებერ კედლებს მიღმა ცხენთა ფლოქვების თქარათქური მომესმა. ყოველივე ეს ისე მოულოდნელი იყო და ცხენებიც ისეთი სისწრაფით მოჰქროდნენ, გვეგონა, საცაა გადათელავენო ჩვენს სკოლას. ყურები ვცქვიტეთ და გავილურსეთ.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ, საქმეს მიხედეთ, — ნაჩქარევად თქვა დიუიშენმა.

მაგრამ უცებ კარი გაიღო და ზღურბლთან ბიცოლაჩემი გამოჩნდა. იგი ავისმომასწავებლად იდგა და სახეზე გამომწვევი ღიმილი დასთამაშებდა. დიუიშენი კარებს მიუახლოვდა:

— თქვენ რა საქმეზე შეწუხებულხართ?

— იმ საქმეზე, რომელიც შენ არ გეხება! ჩემს ქალიშვილს ვათხოვებ. ეი, უსახლკაროვ! — მეცა ბიცოლა, მაგრამ დიუიშენმა გზა გადაუღობა.

— აქ მხოლოდ მოსწავლეები არიან, გასათხოვრები არა გვყვანან! — მტკიცედ და მშვიდად თქვა დიუიშენმა.

— ახლავე ვნახავთ! ეი, კაცებო, გამოათრიეთ ძუკნა!

ბიცოლამ ხელი დაუქნია ერთ-ერთ ცხენოსანს. ეს იყო სწორედ ის მელიის ბეწვის ქუდიანი წითელსიფათა. მას კიდევ ორი მხედარი მოსდევდა, რომელთაც მძიმე მარგილები ჩაებღუჯათ.

მასწავლებელი ადგილიდან არ იძროდა.

— შენ რა, უპატრონო ძაღლო, საკუთარ ცოლებივით დაეპატრონე სხვის ქალიშვილებს? გზა მიტიე!

და წითელსიფათა დათვივით წამოვიდა დიუიშენისკენ.

— არ შემოხვიდეთ, უფლება არა გაქვთ, ეს სკოლაა, გეს-ბით! — თქვა კარის ამყოლებს[1] ჩაფრენილმა დიუიშენმა.

— აკი ვამბობდი! — იკივლა ბიცოლამ. — დიდი ხანია თვითონ აუღო გემო. მუქთად მიიტყუა ძუკნა!

— მიმიფურთხებია შენი სკოლისთვის! — იბღავლა წითელსიფათამ და მათრახი მოიქნია.

მაგრამ დიუიშენმა დაასწრო. ძლიერად ჰკრა ფეხი მუცელში და წითელსიფათა წამსვე წაიქცა. მაშინ ის ორნი, მძიმე მარგილები რომ ეჭირათ, მასწავლებელს მივარდნენ. ბავშვები წივილ-კივილით შემომესივნენ და კაბის კალთაზე ჩამომეკიდნენ. დარტყმებისგან კარი ნაფოტებად იქცა. მოჩხუბრებს ვეცი:

— თავი გაანებეთ მასწავლებელს! არ სცემოთ! აგერა ვარ, წამიყვანეთ, არ სცემოთ მასწავლებელს!

დიუიშენმა შემომხედა. გააფთრებული მასწავლებელი საზარელი შესახედავი იყო — იგი სისხლში ცურავდა; ხელში ფიცარი ეჭირა, გამეტებით იქნევდა და ყვიროდა:

— გაიქეცით, ბავშვებო, აულში გაიქეცით! გავარდი, ალტინაი! — ხაოდა დიუიშენი.

ამასობაში ხელი მოსტეხეს მასწავლებელს. მან მოტეხილი ხელი მკერდზე მიიკრა და დაიხია, ისინი კი გაცოფებული ხარებივით ბღაოდნენ და უმოწყალოდ სცემდნენ უმწეოს.

— ურტყი, ურტყი! თავში ჩასცხე! სული გააფრთხობინე!

გაანჩხლებული ბიცოლაჩემი წითელსიფათასთან ერთად ჩემთან მოიჭრა. ჩემივე ნაწნავი კისერზე გამომდეს და ეზოში გამათრიეს. მთელი ძალით გავიწიე და წამით თვალი მოვკარი ყვირილისგან გაოგნებულ ბავშვებსა და კედელთან მოკუნტულ გასისხლიანებულ დიუიშენს.

— მასწავლებელო!

დიუიშენი ვერაფრით მიშველიდა. იგი ჯერ კიდევ იდგა ფეხზე, მთვრალივით ირყეოდა მომხდურთა დარტყმებისაგან, მაგრამ ცდილობდა, მკერდზე ჩამოვარდნილი თავი წამოეწია. ისინი კი ურტყამდნენ და ურტყამდნენ. წამომაქციეს და გამკოჭეს. დიუიშენიც მიწაზე დაგორდა.

---

[1] ამყოლი (წირთხლი) — კარ-ფანჯრის ჩარჩოს ერთი ვერტიკალური.

— მასწავლებელო!

პირი მომიკუმეს და ხურჯინივით გადამკიდეს უნაგირზე.

წითელსიფათა უკვე ცხენზე იჯდა და კინალამ ზედ მომჰყლიტა. ის ორნიც, დიუიშენს რომ სცემდნენ, უნაგირებზე შეხტნენ, ბიცოლა კი სირბილით მოგვდევდა და თავში მიჩაჩქუნებდა:

— მოვესწარი, მოვესწარი! აი ასე, ასე გაგაგდებ! შენს მასწავლებელსაც ბოლო მოეღო....

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ჩვენამდე აღწევდა სასოწარკვეთილი ყვირილი:

— ალტი-ნა-ა-აი!

ძლივს წამოვწიე უკან გადაგდებული თავი და გავიხედე. მასწავლებელი მოგვდევდა. ცემისგან სიკვდილის პირამდე მიყვანილ, გასისხლიანებულ დიუიშენს ჯანსაღი ხელით რიყის ქვა ჩაებღუჯა. მას ტირილ-კივილით ადევნებოდა მთელი ჩვენი კლასი.

— შეჩერდით, მხეცებო! გაუშვით, გაუშვით ბავშვი! ალტინაი! — ყვიროდა იგი და გვიახლოვდებოდა.

მოძალადენი შეჩერდენ, იმ ორმა ცხენოსანმა ალყაში მოამწყვდია დიუიშენი, რომელსაც კბილებით ეჭირა სახელო, მოტეხილ ხელს რომ არ შეეშალა. დიუიშენმა დაუმიზნა და ქვა ესროლა მათ, მაგრამ ვერ მოარტყა. მაშინ იმ ორმა მარგილის ორი დარტყმით წუმპეში ჩააგდო დიუიშენი. თვალებზე ლიბრი გადამეკრა, ისღა შევნიშნე, როგორ მიირბინეს ბავშვებმა მასწავლებელთან და როგორ დასცქეროდნენ შიშნაჭამი თვალებით.

არ მახსოვს როგორ და სად მიმიყვანეს. იურტაში[1] მოვეგე გონს. კარვის ღია გუმბათიდან იჭყიტებოდნენ მშვიდი, უშფოთველი, ცინცხალი ვარსკვლავები. სადღაც, ახლოს, მდინარე ხმაურობდა და ისმოდა მეცხვარე-მწყემსების ხმა. ჩამქრალ კერასთან იჯდა პირქუში, კორძიან ხესავით ჩამომხმარი დედაკაცი. მიწასავით შავი ჰქონდა სახე. პირი ვიბრუნე, მისგან... ო, მზერით რომ შემძლებოდა მისი განგმირვა!...

---

1 იურტა — ალაჩოყი, კარავი.

— ეი, შავტუხავ, წამოაყენე ეგ! — ბრძანა წითელსიფათამ.

შავი ქალი მომიახლოვდა, უხეში, კორძიანი ხელები მხარში ჩამავლო და შემანჯღრია.

— ჩაასმინე რამე შენს მეწყვილეს, გააგებინე, რომ ბევრს არ ველოლიავები.

წითელსიფათა იურტიდან გავიდა. შავი ქალი არც განძრეულა, არც ხმა გაუღია. მუნჯი თუ იყო? მის გაშტერებულ, ცივ, ჩაფერფლილ თვალებში აზრი არ იკითხებოდა. ხომ გინახავთ ლეკვობიდანვე ცემა-ტყეპაში გაზრდილი უპატრონო ძაღლები, რომლებიც თანდათან ეჩვევიან თავიანთ ხვედრს და მორჩილად იტანენ ბოროტი ადამიანებისაგან გვემას. შემზარავია მათი თვალები, უღიმღამო და უსაგნოა მათი საბრალო შემოხედვა. შავტუხას მიმქრალი თვალების შემხედვარეს არც კი მეგონა თუ ცოცხლებში ვერიე. მაგრამ ცხადლივ ჩამესმოდა მდინარის გუგუნი და ჩანჩქერის ჩქაფუნი. ესე იგი სული მედგა. ბედნიერი მდინარე! იგი თავისუფალი იყო.

სულწაწყმედილო ბიცოლაჩემო, წყეულიმც იყავ სამარადჟამოდ! გიწიოს ჩემმა ცრემლებმა და სისხლმა!.. იმ საღამოს თხუთმეტი წლის გოგონა ქალად ვიქეცი... მოძალადეს კი ჩემზე უფროსი შვილები ჰყავდა...

დადგა მესამე ღამე. მტკიცედ გადავწყვიტე გაქცევა. დაე, გზა ვერ გავიგნო, დაე, მდევარი დამეწიოს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ დიუიშენივით.

სიბნელეში ფრთხილად მივცოცდი გასასვლელამდე, ხელების ფათურით ვიპოვე კარები, მაგრამ იგი საიმედოდ შეეკრათ ბეწვიანი ქამანდით. ხერხიანად გაკვანძული თოკის გახსნა შეუძლებელი იყო სიბნელეში. მაშინ იურტის ფუძის აწევა ვცადე, რათა გასაძრომი ადგილი მეპოვა. ამაოდ დავშვრი... იურტა გარედანაც მაგრად იყო ქამანდით დაჭიმული.

ისღა დამრჩა, რომ ბასრი რამ მომეძია თოკების გადასაჭრელად, მაგრამ, ვერაფერი ვიპოვე, ხის პატარა პალოს გარდა. სასოწარკვეთილმა მისი დახმარებით დავიწყე მიწის ჩიჩქნა იურტის ქვეშ. რასაკვირველია, ეს ცოტას ნიშნავდა, მაგრამ სხვა რა გზა მქონდა, როცა თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა — გაქცევა, ან სიკვდილი! გაქცევა, ან სიკვდილი!

ოღონდ არ გამეგონა წითელსიფათას ქშენა და გაუთავებელი ბროტინი, ოღონდ ამ იურტაში არ დავრჩენილიყავ დამონებული და თავისუფლებამოპოვებულს ბრძოლაში გამეწირა სიცოცხლე.

ტოკოლი — მეორე ცოლი. ო, როგორ მძაგს, როგორ მძაგს ეს სიტყვა! ნეტავი ვინ და რომელ ბედკრულ დროს მოიგონა იგი! რა უნდა იყოს ქვეყნად მეორე ცოლის ყოფაზე უფრო დამამცირებელი, როცა სულიან-ხორციანა დამონებული ხარ! წამოდექით, წამოდექით საფლავებიდან ბეჩავო, შეგინებულო, ადამიანურ ღირსებაწართმეულო ქალებო! წამოდექით, წამებულნო! დაე, ძრწოდეს თქვენს წინაშე ის შავბნელი ხანა! ამას ვამბობ მე — უკანასკნელი თქვენგანი, თქვენივე უბედობის მოზიარე!

აბა რა ვიცოდი იმ ღამეს, რომ ოდესმე სწორედ მე მეღირსებოდა ამ სიტყვების თქმა. მაშინ კი იურტის ქვეშ გაშმაგებით ვჩიჩქნიდი მიწას, რომელიც ქვიანი გამოდგა და არ მემორჩილებოდა. ფრჩხილებით ვფხოჭნიდი მიწას, თითები მისისხლიანდებოდა. და აი, როცა ხელის გასაყოფი ადგილი გამოვთხარე, თავზე დამათენდა. ძაღლები აყეფდნენ, მეზობლად ხალხმა გაიღვიძა. ცხენების ჯოგმა თქარათქურით ჩაიქროლა მდინარისკენ, ფრუტუნით ჩაგვიარეს ნამძინარევმა ფარებმა. მერე ის იყო, ვიღაც მოვიდა იურტასთან, გარედან დამჭიმავი ქამანდები მოუშვა და თექის მოხსნას შეუდგა. ისევ ის მდუმარე, შავტუხა ქალი აღმოჩნდა.

ცხადი იყო, აული ადგილიდან აყრას აპირებდა. წამსვე მომაგონდა წინა დღით ყურმოკრული საუბარი — დილიდანვე უნდა აყრილიყვნენ, ჯერ მთის გადასასვლელს მიაშურებდნენ, შემდეგ კი შორეულ მთებში დაჰყოფდნენ მთელ ზაფხულს. გული უფრო ჩამწყდა — იქიდან გამოქცევა ხომ ასჯერ უფრო ძნელი იქნებოდა!

მონუსხულივით ვიჯექი გამოთხრილ ადგილთან, არცა ვმალავდი ჩემს ნამოქმედარს, ან რატომ უნდა დამემალა... შავმა ქალმა შენიშნა იურტის ქვეშ გამოთხრილი მიწა, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, უბრად განაგრძო თავისი საქმე. მას საერთოდ ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი ეხებოდა, თითქოს მასში არაფერს შეეძლო საპასუხო გრძნობების გა-

ლვიძება. ქალმა ქმარიც კი არ გააღვიძა, ისიც ვერ გაუბედა,— მომეშველეო. მისი ქმარი კი დათვივით ხვრინავდა საბნებსა და ქურქებს ქვეშ.

ქეჩების დახვევა დამთავრდა. დარჩა ჩონჩხივით გაშიშვლებული იურტა. თითქოს გალიაში ვიჯექი და ვხედავდი, რომ მოშორებით ხალხი ტვირთს ჰკიდებდა ხარებსა და ცხენებს. შემდეგ შევნიშნე როგორ მიუახლოვდა მათ სამი ცხენოსანი, რაღაც გამოიკითხა და ჩვენსკენ გამოემართა. ჯერ მეგონა, ისინი ხალხის თავმოყრას აპირებენ-მეთქი გამგზავრების წინ, მაგრამ, როცა დავაკვირდი, გავოგნდი: ერთი მათგანი დიუიშენი აღმოჩნდა, ხოლო ორი სხვა — მილიციელი.

მიმკვდარუნებულს დაყვირებაც კი არ შემეძლო. სიხარულმა მომიცვა — ცოცხალი ყოფილა ჩემი მასწავლებელი! ამავე დროს გულში სიცარიელეს დაეღო ხახა: გათელილი და დამცირებული ვიყავი...

დიუიშენს თავი შებინტული ჰქონდა, ხოლო გადამტვრეული მკლავი კისერზე ჩამოკიდებულ ბაფთაში გაეყო. იგი დაქვეითდა, წიხლით შემოანგრია კარი, იურტაში შემოვარდა და საბანი ააგლიჯა წითელსიფათას.

— ადექი! — მრისხანედ შეუყვირა მან.

წითელსიფათამ თავი წამოსწია, თვალები მოიფშვნიტა და ის იყო უნდა სცემოდა დიუიშენს, მაგრამ მყისვე ჩაქინდრა თავი მილიციელთა ნაგანების დანახვაზე. დიუიშენი ქეჩოში ჩააფრინდა წითელსიფათას, შეანჯღრია და თავისკენ მოქაჩა.

— არამზადავ! — გამოსცრა მან გაფითრებული ტუჩებიდან, — ახლა კი ამოჰყოფ თავს საკადრის ადგილზე! წამოდი!

წითელსიფათა მორჩილად გაჰყვა, მაგრამ დიუიშენმა ისევ მოიზიდა მისი მხარი, თვალი თვალში გაუყარა და სვენებ-სვენებით ამოღერღა:

— შენ გგონია, ბალახივით გათელე, დაღუპე ეგ გოგონა, არა?.. სტყუი, არამზადავ! წავიდა შენი დრო, ახლა მისი ჟამი დადგა, შენმა აღსასრულმა კი მოაწია და ეგ არის!..

წითელსიფათას ჩექმების ჩაცმის ნება მისცეს, ხელები შეუკრეს და ცხენზე აჩაჩხეს. ერთ მილიციელს აღვირით მიჰყავ-

და დაპატიმრებულის ცხენი, მეორე უკან მისდევდა. მე დიუ-
იშენის ცხენზე შევჯექი, თვითონ მასწავლებელი კი ჩემს
გვერდით მოაბიჯებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზას რომ გავუდექით, უკნიდან შემზარავი ყივილი მო-
გვესმა. მოვიხედეთ — შავი ქალი მთელი სისწრაფით მოგვ-
დევდა. იგი გიჟივით მიეჭრა ქმარს და ქვა სტყორცნა. ნასრო-
ლი მიზანს მოხვდა და წითელსიფათას მელიის ბეწვის ქუდი
მოსძვრა თავიდან.

— ეგ ჩემი სისხლის საზღაურად, სულთამხუთავო! — ჩახ-
ლეჩილი ხმით ყვიროდა შავტუხა. — ჩემი შავად გატარებუ-
ლი დღეების სანაცვლოდ, ავაზაკო! სულს ამოგხდი, სულს!

ორმოცი წლის განმავლობაში ეს ქალი ალბათ მორჩილად
თავდადრეკილი იყო. ახლა კი აევსო მოთმინების ფიალა და
ბოლმა გადმოანთხია. მისი შემაზრზენი კივილი ექოდ ეხეთ-
ქებოდა კლდეებს. იგი ხან ერთი მხრიდან მიუდგებოდა ში-
შისგან მოკუნტულ ქმარს, ხან — მეორე მხრიდან და ესროდა
ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა — ფუნას, ქვას, გორო-
ხებს და თან წყევლასაც არ აკლებდა:

— ბალახიც ნუ ამოსულა შენს ნატერფალზე! შენს ძვლებს
არ ეღირსოს სამარე და ყორანს ამოეკორტნოს ეგ დასამიწებე-
ლი თვალები. ღმერთი ნუ მომასწრებს კიდევ შენს ნახვას! შორს
ჩემგან, ავსულო, შორს, შორს!—ხრიალებდა იგი. მერე ერთ-
ბაშად დადუმდა და ბოლოს ღმუილით გაგვეცალა. ასე მეგო-
ნა, ქარისგან აფრიალებულ საკუთარ თმებს გაურბოდა.

ამასობაში მეზობლებიც დაედევნენ და წამოეწივნენ.

ისე მიზუზუნებდა თავი, როგორც კოშმარული სიზმრის
შემდეგ. ცხენზე ვიჯექი დამცირებულ-გატანჯული. დიუიშენს
ჩემი ცხენის ლაგამი ეჭირა ხელში და წინ მიმიძღოდა. მასწავ-
ლებელს შებინტული თავი ჩაექინდრა და ხმას არ იღებდა.

კარგა ხანმა განვლო, რაც ავბედით ხეობას გავცდით. საკ-
მაოდ ჩამოვრჩით მილიციელებს. დიუიშენმა ცხენი შეაჩერა
და ახლაღა შემომხედა გატანჯული თვალებით.

— ვერ გაგიფრთხილდი, ალტინაი, ვერ დაგიცავი, მაპა-
ტიე! — თქვა მან. მერე ჩემი ხელი ლოყაზე მიიდო. — შენ
კიდეც რომ მაპატიო, მე რა მოვუხერხო საკუთარ თავს...

ცრემლები წამსკდა და ცხენის ფაფარზე დავიხარე... დიუ-

იშენი გვერდით მედგა, უხმოდ მისვამდა ხელს თმებზე და ჩემს დამშვიდებას უცდიდა.

— დაწყნარდი, ალტინაი, წავიდეთ, — თქვა ბოლოს. — ყური მიგდე, რას გეტყვი: მესამე დღეს რაიონში ვიყავი, გადაწყდა შენი ქალაქში გაგზავნა სასწავლებლად, გესმის?

მოჩხრიალე, ანკარა მდინარესთან რომ შევჩერდით, დიუიშენმა ჯიბიდან საპნის ნაჭერი ამოიღო და მითხრა:

— ჩამოქვეითდი, ალტინაი, დაიბანე. აიღე საპონი, ნუ მერიდები. თუ გინდა, მე გვერდით გავდგები, ცხენს ვაბალახებ, შენ კი გაიხადე და ტანი დაიბანე მდინარეში. სამუდამოდ დაივიწყე, რაც გადაგხდა. იბანავე, ალტინაი, იბანავე, გულზე მოგეშვება, კარგი?

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. ხოლო როცა დიუიშენი სადღაც გაუჩინარდა, ტანსაცმელი გავიხადე და ფრთხილად ჩავედი წყალში. გამჭვირვალე მდინარის ფსკერიდან შემომციცინებდნენ თეთრი, ცისფერი, მწვანე, წითელი კენჭები. კოჭებთან მიბუყბუყებდა სწრაფი, ლურჯად მოლივლივე ნაკადი. პეშვებით მოვხაპე წყალი და მკერდზე შევისხი. პაწაწკინტელა, ცივ-ცივი ჭავლები დამდინდნენ ტანზე და უნებურად გადავიკისკისე — პირველად ამ დღეებში. რა ბედნიერება ყოფილა სიცილი! კიდევ და კიდევ შევისხი წყალი და ნაკადის სიღრმეში გადავეშვი. დინებას წამსვე გამოვყავდი მეჩეჩზე, მე კი ისევ და ისევ დგაფანს ვადენდი შხეფებად ქცეულ ნაკადში.

— წაიღე, წყალო, ამ დღეების ჭუჭყი და სიბილწე, წაიღე! განმწმინდე შენსავით, ანკარა წყალო! — ვჩურჩულებდი და რატომღაც ვკისკისებდი.

რატომ არ რჩება ადამიანთა კვალი მათთვის სანუკვარ ადგილებზე? ახლა რომ მაპოვნინა ის ბილიკი, რომლითაც დიუიშენი და მე დავბრუნდით მთებიდან, დავემხობოდი მიწაზე და დავკოცნიდი მასწავლებლის ნატერფალებს... ეს ბილიკი ჩემთვის ყველა დიდ გზაზე უფრო საყვარელია. ღმერთმა აკურთხოს ის დღე, ის ბილიკი, ის გზა, რომელმაც ახალი ცხოვრებისკენ მომაბრუნა, ახალი რწმენისკენ საკუთარი თავისადმი, ახალი იმედისა და სინათლისაკენ... მადლობა იმ მზეს, იმჟამინდელ მიწას...

ორი დღის შემდეგ დიუიშენმა სადგურში წამიყვანა.

მომხდარი ამბის მერე აულში დარჩენა არ მინდოდა. ახალი ცხოვრება ახალ ადგილას უნდა დამეწყო. ხალხმაც გაიზიარა ჩემი მოსაზრება. საიკალმა და კარაკემ გამაცილეს. ისინი ფუსფუსებდნენ, ბალღებივით იცრემლებოდნენ და ხელებში მჩრიდნენ ტომსიკებსა და ფუთებს. გამოსათხოვებლად სხვა მეზობლებიც მოვიდნენ, თვით სატიმკულ-მოპაექრეც.

— ღმერთი გწყალობდეს, შვილო, — მითხრა მან, — ნათელი გზა გქონდეს. ნუ შიშობ, მიჰყევ მასწავლებელ დიუიშენის დარიგებას და არ დაიკარგები. სხვა რა გვეთქმის, ჩვენც გავერკვიეთ ზოგ რამეში.

ჩვენი თანაკლასელები დიდხანს მოსდევდნენ ბრიჩკას[1] და ხელებს გვიქნევდნენ...

რამდენიმე ტოლთან ერთად ტაშკენტის ბავშვთა სახლში მივემგზავრებოდი. სადგურზე ტყავის კურტაკიანი რუსი ქალი გველოდა.

შემდგომ რამდენჯერ გამივლია ალვის ხეებით დაჩრდილული მთის ამ პატარა სადგურში. და მე მგონია, ჩემი გულის ნახევარი სამუდამოდ აქ დავტოვე.

გაზაფხულის საღამოს იასამნისფრად მოლივლივე შუქი სევდიანად იღვრებოდა, თითქოს მწუხრსაც შეეტყო ჩვენი განშორების სიმძიმე. დიუიშენი თავს იკავებდა, ცდილობდა წუხილის არგამჟღავნებას, მაგრამ მე ხომ ყველაფერს ვხვდებოდი: იგივე ტკივილი ცხელი ბურთივით მქონდა ყელში გაჩრილი. დიუიშენი დაჟინებით ჩამცქეროდა თვალებში და ელოლიავებოდა ჩემს თმებს, სახეს, კაბის ღილებსაც კი.

— რომ შემეძლოს, წუთითაც არ მოგშორდებოდი, ალტინაი, — თქვა მან, — მაგრამ უფლება არა მაქვს ხელი შეგიშალო. შენ უნდა ისწავლო. მე ხომ არც თუ განათლებული ვარ. გაემგზავრე, ასე აჯობებს... იქნებ ნამდვილი მასწავლებელი დადგე და მაშინ მოიგონებ ჩვენს სკოლას, გაგეცინება კიდეც... დე, ასე იყოს, იყოს ასე...

ექოთი ახმაურებული სადგურის ხეობაში შორით იკივ-

---

[1] ბრიჩკა — ცალცხენა, მსუბუქი ორთვალა, ზოგჯერ დახურული

ლა მატარებელმა, უშველებელი სვეტივით წამოიქცა თვალის-მომჭრელი შუქიც. ხალხი აფუსფუსდა.

— მაშ ასე, შენ ახლა გაემგზავრები, — აკანკალებული ხმით ჩაილაპარაკა დიუიშენმა და ხელი მომიჭირა, — იყავ ბედნიერი, ალტინაი. მთავარი კი არ დაგავიწყდეს: ბეჯითად უნდა ისწავლო, ბეჯითად...

ვერაფერი ვუპასუხე — ცრემლი მახრჩობდა.

— ნუ ტირი, ალტინაი. — დიუიშენმა ცრემლი მომწმინდა და უცებ მოაგონდა: — იმ პატარა ალვის ხეებს, ჩვენ რომ დავრგეთ, მე გავახარებ. და როცა სახელოვნად დაგვიბრუნდები, ნახავ, რა ლამაზები იქნებიან.

ამ დროს მატარებელიც მოქოთქოთდა. ვაგონები ღრჭიალით შეჩერდნენ.

— აბა, გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს! — დიუიშენმა ჩამიხუტა და მაგრად მაკოცა შუბლზე. — კარგად იყავი, ბედნიერად გევლოს, მშვიდობით, სანუკვარო... ნუ გეშინია, თამამად იარე.

ვაგონის კიბეზე შევხტი და მოვიხედე. არასოდეს დამავიწყდება, როგორ იდგა დიუიშენი კისერზე ჩამოკიდებულ სახვევში ხელგაყრილი და როგორ შემომცქეროდა დაბინდული თვალებით. მერე ხელები გამოიწოდა, თითქოს უნდოდა ერთხელაც შემხებოდა, მაგრამ მატარებელი დაიძრა და ვერ მოახერხა.

— მშვიდობით, ალტინაი! მშვიდობით, ჩემო ელვარე ნაპერწკალო! — შემომძახა მან.

მშვიდობით, მასწავლებელო! მშვიდობით, ჩემო საყვარელო მასწავლებელო!

დიუიშენი სირბილით მოსდევდა ვაგონს, შემდეგ ჩამორჩა, მერე ისევ ძალუმად მოწყდა ადგილიდან და მთელი ხმით მომაძახა:

— ალტი-ნა-ა-აი!

ისე ყვიროდა, თითქოს რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის და ახლაღა მოაგონდაო, თუმცა, იცოდა, რომ უკვე გვიან იყო... აქამდე მიწივის ყურებში ის სულის სიღრმიდან ამოხეთქილი ყვირილი....

მატარებელმა გვირაბი განვლო, სწორზე გავიდა, სიჩქარეს

უმატა და ახალი ცხოვრებისკენ გამაქროლა ყაზახეთის სტეპებზე...

მშვიდობით, მასწავლებელო; მშვიდობით, ჩემო პირველო სკოლავ, მშვიდობით ბავშვობავ; მშვიდობით, ჩემო პირველო, გაუმხელელო სიყვარულო...

დიახ, მე ვსწავლობდი ისეთი დიდი ქალაქის ფართოფანჯრებიან, უზარმაზარ სკოლებში, დიუიშენი რომ ოცნებობდა. მერე ის იყო, მუშფაკი დავამთავრე და ინსტიტუტში სასწავლებლად მოსკოვს გამაგზავნეს.

ვინ იცის, რაოდენი სიძნელე გამოვიარე ხანგრძლივად სწავლის პერიოდში, რამდენჯერ წარმეკვეთა სასო; მეჩვენებოდა, რომ ვერ დავძლევდი მეცნიერების სიბრძნეს; ყველაზე მძიმე ჟამს ოცნებით ანგარიშს ვაბარებდი ჩემს პირველ მასწავლებელს და უკან არ ვიხევდი. იმას, რასაც სხვები უცებ ითვისებდნენ, მე მხოლოდ უდიდესი გარჯის შედეგად ვაღწევდი, რადგან ყველაფრის თავიდან დაწყება მომიხდა.

მუშფაკში სწავლისას წერილი მივწერე ჩემს მასწავლებელს და გამოვუტყდი, რომ მიყვარს და ველოდები; პასუხი არ მომსვლია და ჩვენი მიმოწერაც შეწყდა. მე მგონია, უარი იმიტომ უთხრა საკუთარ თავსაც და მეც, რომ სწავლაში ხელი არ შემშლოდა. იქნებ მართალიც იყო დიუიშენი... იქნებ სხვა მიზეზიც ჰქონდა? როგორ ვიტანჯე და რამდენი ვიფიქრე მაშინ ამაზე!

პირველი დისერტაცია მოსკოვში დავიცავი. ჩემთვის ეს იყო დიდი, სერიოზული გამარჯვება. მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ ვწვევივარ მშობლიურ აულს. ამასობაში სამამულო ომიც დაიწყო. გვიან შემოდგომით, მოსკოვიდან ფრუნზეში გამაგზავნეს ევაკუაციით. სწორედ იმ სადგურში ჩამოვედი, საიდანაც ჩემმა მასწავლებელმა გამაცილა. გამიმართლა: მაშინვე წავაწყდი ბრიჩკას, რომელიც კოლმეურნეობაში მიდიოდა ჩემი აულის გავლით.

ო, მშობლიურო მხარევ, ძნელბედობის ჟამს მომიხდა შენი მონახულება. როგორ ვხარობდი განახლებული მიწის ხილვისას — ახალი აულები გაეშენებინათ, ვრცელი ველები მოეხნათ, ახალი გზები გაეყვანათ, ახალი ხიდები გაედოთ, — მაგრამ ომი ამწუხრებდა ამ შეხვედრას.

აულთან მიახლოებისას ავღელდი. შორიდანვე შევხვდი ახალ, ჩემთვის უცნობ ქუჩებს, ახალ სახლებსა და ბაღებს, შემდეგ კი იმ ბექობისკენ გავიხედე, სადაც ჩვენი სკოლა იდგა და სუნთქვა შემეკრა — ბექობზე ერთმანეთის გვერდით იდგა ორი დიდი ალვის ხე და ნიავისგან ირწეოდა. და მაშინ პირველად წარმოვთქვი სახელი იმ კაცისა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე „მასწავლებელს“ ვეძახდი.

— დიუიშენ! — წავიჩურჩულე, — მადლობა, დიუიშენ, ყველა იმ სიკეთისთვის, რაც ჩემთვის გააკეთე! ესე იგი არ დაგვიწყებივარ, ჩემზე ფიქრობდი... არ გიღალატნია საკუთარი თავისთვის!

ცრემლები რომ შემამჩნია, შეწუხდა ბრიჩკის ახალგაზრდა პატრონი:

— რა მოგვიდათ?

— არაფერი, ისე. ამ კოლმეურნეობიდან თუ იცნობ ვისმეს?

— რასაკვირველია.

— დიუიშენს თუ იცნობ, აი, მასწავლებელი რომ იყო?

— დიუიშენს? ეგ ხომ ჯარში წავიდა. თავად მივიყვანე ამ ბრიჩკით კოლმეურნეობიდან სამხედრო კომისარიატამდე.

აულში შესვლისას ახალგაზრდას ვთხოვე ცხენი შეეჩერებინა და ბრიჩკიდან ჩამოვედი. ჩავფიქრდი. ვერ გავბედე ასეთ მძიმე დროს კარიკარ მევლო, ნაცნობები მეძებნა და მეკითხა: ხომ გახსოვართ თქვენი თანამემამულე-მეთქი. დიუიშენიც ხომ ჯარში იყო წასული. გარდა ამისა, ფიცი მქონდა დადებული, რომ არასოდეს მივბრუნებულიყავ იქ, სადაც ჩემი ბიცოლა და ბიძა ცხოვრობდნენ. ადამიანს შეიძლება ბევრი რამ აპატიო, მაგრამ ის, რაც მათ ჩაიდინეს, უპატიებელია. ისიც კი არ მინდოდა, რომ მათ შეეტყოთ აულში ჩემი ჩამოსვლა. გზიდან გადავუხვიე და ბექობზე მდგარი ალვის ხეებისაკენ გავემართე.

ეჰა, ალვის ხეებო! რამდენმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, როცა თქვენ ნორჩი, ტანწვრილი ნერგები იყავით! ყველაფერი ახდა, რაზედაც თქვენი დამრგველ-გამხარებელი კაცი ოცნებობდა, რაც მან იწინასწარმეტყველა, ასრულდა. თქვენ რატომღა შრიალებთ ნაღვლიანად, რა გაწუხებთ? იქნებ იმაზე

დარდობთ, რომ ზამთარი ახლოვდება და ცივი ქარები ფოთლებს შემოგაძარცვავენ. იქნებ თქვენცა გრძნობთ სახალხო მწუხარებას.

დიახ, მოვა ზამთარი, ყინვაც იქნება, ქარბუქიც, მაგრამ გაზაფხულიც ხომ იქნება...

დიდხანს ვუგდებდი ყურს შემოდგომის ფოთლების ჩურჩულს. ხეების მაცოცხლებელი რუ ახლახან გაეწმინდათ — მიწას ეტყობოდა ღრმა, თითქმის ახალი კვალი კეტმენისა. სავსე რუში ჩამდგარი გამჭვირვალე წყალი, რომელზეც ალვის ხეთა გაყვითლებული ფოთლები ირხეოდნენ, ოდნავ აჭავლდა.

ბექობიდან ვხედავდი ახალი სკოლის შეღებილ სახურავს; ჩვენი სკოლა კი უკვალოდ გამქრალიყო.

შარაზე დავეშვი და სადგურისკენ მიმავალ სხვა ბრიჩკას დავემგზავრე.

ომი ბობოქრობდა; მერე გამარჯვებასაც მოვესწარით, მაგრამ მწარე იყო ხალხის სიხარული: ბავშვები მამების საველე ჩანთებით დარბოდნენ სკოლაში, მამაკაცები მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ, დაღუპულ ჯარისკაცთა ცოლებს თვალები ამოუშრათ და მორჩილად შეურიგდნენ ქვრივულ ხვედრს. ზოგიერთებს კიდევ ენთოთ იმედის ნაპერწკალი და კვლავინდებურად ელოდნენ ახლობლებს. ყველა ხომ ერთბაშად ვერ დაბრუნდებოდა შინ.

არც მე მქონდა ზუსტი ცნობები დიუიშენზე. ქალაქში ჩამოსული ჩემი თანამემამულეების თქმით, იგი უგზოუკვლოდ დაიკარგა — ასეთი ცნობა მიუღია სოფლის საბჭოს. იმასაც ამბობდნენ — იქნებ დაიღუპა კიდეცო, რადგან დრო მიდიოდა, მის შესახებ კი არაფერი ისმოდა.

ეჰ, ველარ ველირსები ჩემი მასწავლებლის ნახვას, — ვფიქრობდი დროდადრო, — და მართლაც აღარ შევხვედრივართ იმ მარადსახსოვარი დღის შემდეგ, როცა სადგურში დავემშვიდობეთ ერთმანეთს...

ზოგჯერ, წარსულს რომ ვიგონებდი, არც მიმიქცევია ყურადღება და — რაოდენი ნაღველი დამგროვებია გულში.

ორმოცდაექვსის გვიან შემოდგომაზე ტომსკის უნივერსიტეტისკენ მივეშურებოდი სამეცნიერო მივლინებით. ციმბირში პირველად მივემგზავრებოდი. მკაცრი და მოღუშული იყო ციმბირი იმ ზამთრისპირა პერიოდში. საუკუნოვანი ტყეები ყრუ კედლებივით ჩაგვიქროლებდნენ ხოლმე ფანჯარასთან. ოლეებში გაიელვებდნენ შავი სახურავები, რომელთა საკვამურებიდან თეთრი კვამლი იფანტებოდა. შეცივნულ მინდვრებზე თეთრად ქათქათებდა პირველი თოვლი, ხოლო ცაში ყვავ-ყორნები რიალებდნენ. ცას შუბლი შეეკრა.

მატარებელში მაინც მხიარულად ვგრძნობდი თავს. კუპეში ყოფილი ფრონტელი, ყავარჯნიანი ინვალიდი დამემგზავრა. იგი ბევრს გვაცინებდა თავშესაქცევი ამბებისა და მხედრული ანეკდოტების მოყოლით. მომხიბლა ამ კაცის დაუშრეტელმა გამომგონებლობამ. მის სისადავესა და უწყინარ სიცილში ყოველთვის გამოსჭვიოდა ჭეშმარიტი სიმართლე. ყავარჯნიანმა ერთბაშად დაიმსახურა ყველას სიყვარული. და აი, ნოვოსიბირსკის იქით ჩვენი მატარებელი წუთით შეყოვნდა რომელიღაც პატარა ასაქცევზე. ფანჯარასთან ვიდექი, გარეთ ვიყურებოდი და გულიანად ვიცინოდი ჩემი მხიარული თანამგზავრის მორიგ ხუმრობაზე.

მატარებელი დაიძრა და სვლას უმატა. ფანჯარასთან გაცურდა კენტად მდგარი სადგურის პატარა შენობა; მეისრის ჯიხურის გავლისას უცებ მოვწყდი ფანჯარას და კვლავ ავეკარი. დიუიშენი დავლანდე! იგი, რკინიგზელის ალმით ხელში, ჯიხურთან იდგა. ავფორიაქდი.

— გააჩერეთ! შევკივლე მთელი ვაგონის გასაგონად და გასასვლელისკენ გავვარდი. უცებ სამუხრუჭე ონკანი შევნიშნე და სწრაფად მოვქაჩე.

ვაგონები ერთმანეთს შეენარცხნენ, მატარებელმა მკვეთრად დაამუხრუჭა და ასევე მკვეთრად დაიხია უკან. ბარგი გრუხუნით გადმოცვივდა თაროებიდან, დაგორდა ჭურჭელი, ახმაურდნენ ბავშვები და ქალები. ვიღაცამ გიჟივით დაიღრიალა:

— კაცი გაიტანა მატარებელმა!

მე უკვე კიბეებზე ვიდექი და ვაგონიდან ვისკუპე. არაფერი მესმოდა, ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ თავგანწირვით მი-

ვრბოდი მეისრის ჯიხურისკენ, სადაც დიუიშენი მეგულებოდა. კონდუქტორებმა სტვენა ასტეხეს, ვაგონებიდან ჩამომხტარი ხალხი ამედევნა. ქარივით ჩავუქროლე შემადგენლობას, დიუიშენი კი უკვე ჩემს შესახვედრად მორბოდა.

— დიუიშენ, მასწავლებელო! — შევძახე და მივვარდი.

დაბნეული მეისრე შეჩერდა. გამოცხადებული დიუიშენი იყო, იგივე სახე, თვალები, ოღონდ... ოდნავ მოტეხილი და ულვაშებმოშვებული.

— რაო, ჩემო დაო, რას ამბობთ? — თანაგრძნობით შემეხმიანა იგი ყაზახურად, — ალბათ შეგეშალათ, მე მეისრე ჯანგაზინი ვარ, ბეინეუს მეძახიან.

— ბეინეუ?

და არ ვიცი, როგორ მოვასწარი პირის მოკუმვა, რომ არ ავბღავლებულიყავი მწუხარების, ტკივილისა და სირცხვილისაგან. ეს რა ჩავიდინე? სახეზე ხელები ავიფარე და თავი ჩავქინდრე. რატომ მიწა არ გამისკდა და თან არ ჩამიტანა? ბოდიში უნდა მომეხადა მეისრისთვის, პატიება მეთხოვა ხალხისთვის, მე კი ვიდექი ქვასავით დამუნჯებული. მატარებლიდან ჩამოსული შეჯგუფებული ხალხიც დუმდა. ვუცდიდი როდის ამიყვირდებოდნენ და გამლანძღავდნენ, მაგრამ არავინ იღებდა ხმას. და ამ საშინელ სიჩუმეში ვიღაც ქალი ასლუკუნდა:

— საბრალო, ქმარს თუ ძმას მიამსგავსა.

ხალხი შეინძრა.

—არიან ასეთებიც! — ჩაიბუბუნა ვიღაცამ.

— რა გიკვირს, რა არ ხდება, რა უბედურებაში არ გამოგატარა ომმა... — უპასუხა ქალის გამკივანმა ხმამ.

მეისრემ სახეზე აფარებული ხელები ჩამომაშვებინა და მითხრა: ვაგონამდე მიგაცილებთ, ცივა.

ხელკავი გამომდო. მეორე მხრიდან ვიღაც ოფიცერი წამომეშველა.

— წამოდით, მოქალაქევ, წამოდით, ყველას გვესმის თქვენი, — თქვა მან.

ხალხი გაიწ-გამოიწია და ისე გამატარეს მათ შორის, როგორც სამგლოვიარო პროცესიაზე. სამნი აუჩქარებლად მივდიოდით წინ, სხვები მოგვყვებოდნენ. შემხვედრი მგზავრებიც ჩვენს უკან მომავალ ჯგუფს უერთდებოდნენ. შემცივნულ

შხრებზე ვიღაცამ თივთიკის თავშალი მომასხა. ჩემი ხუმარა თანამგზავრიც იქვე მოკელანობდა. იგი ოდნავ წინ გაგვისწრებდა ხოლმე და სულ თვალებში შემომციცინებდა. ამ მხიარულ, ოხუნჯ კაცს რატომღაც ქუდი მოეხადა და მგონი ტიროდა კიდეც. მეც ცრემლად ვიღვრებოდი. და ამ ტელეგრაფის მავთულების წივილსა და ზრიალში ჩამესმოდა სამგლოვიარო მარშის ხმები: „აწ ვეღარ ვნახავ ვეღარასოდეს“.

ვაგონთან მატარებლის უფროსმა შეგვაჩერა. იგი რაღაცას ყვიროდა, თითის ქნევით მემუქრებოდა, ლაპარაკობდა რაღაც პასუხისმგებლობასა და ჯარიმაზე. ხმა არ გამიცია. ჩემთვის სულ ერთი იყო ყველაფერი. მატარებლის უფროსმა ოქმი შემაჩეჩა ხელმოსაწერად, მაგრამ ფანქრის მომარჯვებაც ვერ მოვახერხე.

მაშინ ჩემმა ყავარჯნიანმა თანამგზავრმა ხელიდან გამოგლიჯა ოქმი და უყვირა:

— თავი გაანებე ამ ქალს! მე მოგიწერ ხელს. ეს მე მოგლიჯე სამუხრუჭე ონკანი, მე ვაგებ პასუხს!..

ციმბირის მიწაზე — ამ ძველთაძველ რუსულ მხარეში — მიჰქროდა დაგვიანებული მატარებელი. ღამის სიმყუდროვეში სევდიანად ყღერდა ჩემი თანამგზავრის გიტარა. ქვრივი რუსი ქალების გაბმულ სიმღერასავით ჩამრჩა გულში გარდასული ომის მწუხარე გამოძახილი.

მიჯრით გადიოდნენ წლები. მიდიოდა წარსული, მომავალი გვიხმობდა ათასგვარი საზრუნავით. გვიან გავთხოვდი, მაგრამ კარგი მეუღლე შემხვდა. გვყავს ბავშვები, ოჯახში მეგობრულად ვცხოვრობთ. ამჟამად ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ვარ. ხშირად ვმოგზაურობ. მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ... ჩემს აულში კი აღარ მივსულვარ. მიზეზი, რასაკვირველია, მქონდა და საკმაოც, მაგრამ არ ვაპირებ თავის მართლებას. თავისი კუთხის ხალხთან კავშირის გაწყვეტა ვის ეპატიება, მაგრამ რას იზამ — ასე წარიმართა ჩემი ცხოვრება. წარსული არ დამვიწყებია. ან რა დამავიწყებს, მაგრამ თითქოს მოვწყდი კი მას.

მთებში მინახავს ასეთი წყაროები: გაიყვანენ ახალ გზას, ხოლო მისკენ მიმავალი ბილიკი დავიწყებას მიეცემა. სულ უფრო იშვიათად შეუხვევს ხოლმე მგზავრი მათკენ წყურვი-

ლის მოსაკლავად, და წყაროებიც ნელი-ნელ იბარდებიან პიტნითა და მაყვლით. დროთა განმავლობაში მათ უკვე ახლოდანაც ველარ შეამჩნევ. ძნელად თუ ვისმეს მოაგონდება ასეთი წყარო და ხვატიან დღეში შარაგზიდან მისკენ შეუხვევს გასაგრილებლად. მოვა კაცი, მოძებნის იმ მიყრუებულ ადგილს, გადასწევს ბარდს და... მოიხიბლება ცივი, ანკარა წყაროსთვალის სიმშვიდითა და სიღრმით. და იგი ამ წყაროში იხილავს საკუთარ თავს, მზეს, ცას, მთებს... და გაიფიქრებს ადამიანი: მართლაც ხომ დიდი ცოდვაა, ვერ მიაგნო ასეთ ადგილს; ის კი არა, ამხანაგებსაც უნდა ამცნო მისი არსებობა, — გაიფიქრებს და... მყისვე დაივიწყებს, ვიდრე კვლავ არ მოხვდება ამ მხარეში.

ასეთი რამ ზოგჯერ ცხოვრებაშიც ხდება. ალბათ ამიტომაც ჰქვია ცხოვრება...

სწორედ ასეთი წყაროების არსებობა მომაგონდა ახლახან აულში ყოფნისას.

თქვენ, რასაკვირველია, საგონებელში ჩაგაგდოთ ჩემმა მაშინდელმა მოულოდნელმა გამგზავრებამ კურკურეუდან. განა არ შეიძლებოდა იქვე მეთქვა ხალხისთვის, რაც თქვენ გაგანდეთ? არა. არასგზით. ისე ვიყავი აღელვებული, ისე მრცხვენოდა... მრცხვენოდა კი საკუთარი თავისა და ამიტომაც გაგეცალეთ სასწრაფოდ. მივხვდი, რომ ვერ შევძლებდი დიუიშენთან შეხვედრას, ვერ მოვახერხებდი პირდაპირ ჩამეხედნა მისთვის თვალებში. უნდა დავწყნარებულიყავ და აზრი მომეკრიბა, გზაში მეფიქრა ყოველივე იმაზე, თუ რა უნდა მეთქვა არა მარტო ჩვენი თანამემამულეების, არამედ მრავალი სხვისთვისაც.

დამნაშავედ ვთვლიდი თავს კიდევ იმის გამო, რომ არ უნდა ვყოფილიყავი განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნება სკოლის გახსნისას, ასევე არ უნდა ვმჯდარიყავ საპატიო ადგილზე. ასეთი უფლება პირველ რიგში ჰქონდა ჩვენს პირველ მასწავლებელს, ჩვენი აულის პირველ კომუნისტს — მოხუც დიუიშენს. პირიქით კი მოხდა. ჩვენ ვისხედით საზეიმო სუფრასთან, ის ოქრო კაცი კი ფოსტის დარიგებას ეშურებოდა, მოისწრაფოდა, რათა სკოლის გახსნისთვის მოესწრო ყოფილი მოსწავლეების მოსალოც დეპეშათა მოტანა.

.და განა ეგ ერთადერთი შემთხვევაა. ბევრჯერ შემინიშნავს. ამიტომაც გეკითხებით: ეგ, როდის მერე დავიკიწყეთ უბრალო ადამიანისადმი ისეთი ჯეროვანი პატივისცემა, როგორიც ლენინმა იცოდა? და მადლობა ღმერთს, რომ ასეთ რამეებზე ჩვენ ახლა ყოველგვარი ფარისევლობისა და პირფერობის გარეშე ვლაპარაკობთ. ძალიან კარგია, რომ ჩვენ ამითაც ვბაძავთ ლენინს, ახლოს მივდივართ მასთან.

ახალგაზრდობამ არ იცის, თავის დროზე როგორი მასწავლებელი იყო დიუიშენი. ხოლო უფროსი თაობიდან ბევრი უკვე აღარაა ცოცხალი. დიუიშენის მოსწავლეთაგან ცოტამ როდი დადო თავი სამამულო ომში. მე ვალდებული ვიყავი ახალგაზრდობისთვის მემცნო თუ ვინ იყო ჩემი მასწავლებელი დიუიშენი. ჩემს ადგილზე ყოველი თქვენთაგანი ასევე მოიქცეოდა. მაგრამ მე აულში არა ვყოფილვარ, არაფერი ვიცოდი დიუიშენზე და თანდათანობით მისი სახება მუზეუმის სიჩუმეში დასაცავ ძვირფას რელიკვიად მექცა.

მე კიდევ ჩამოვალ ჩემს მასწავლებელთან და გამოცდას ჩავაბარებ, პატიებას ვთხოვ.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მინდა კურკურეუში გავემგზავრო და ამხანაგებს შევთავაზო, რომ ახალ სკოლა-ინტერნატს „დიუიშენის სკოლა“ უწოდონ. დიახ, სახელი ამ უბრალო კოლმეურნისა და ამჟამად ფოსტალიონის. იმედი მაქვს, თქვენ, როგორც თანამემამულე, მხარს დამიჭერთ. ძალიან გთხოვთ.

მოსკოვში ახლა ღამის მეორე საათია. სასტუმროს აივნიდან შევცქერი მოსკოვური ნათურების კიაფს და ვფიქრობ ინაზე, თუ როგორ ჩავალ აულში, როგორ შევხვდები ჩემს მასწავლებელს და მოწიწებით ვეამბორები ჭაღარა წვერზე.

ფართოდ ვაღებ ფანჯრებს. ოთახში იღვრება სუფთა ჰაერის ნაკადი. სინათლეშეპარულ მოლურჯო ბინდბუნდში ყურადღებით ვაცქერდები ჩემი ახალდაწყებული სურათის უამრავ ეტიუდსა და ჩანახატს. ვინ იცის, მერამდენედ, მერამდენედ დამიწყია ყველაფერი თავიდან. მაგრამ მაინც ვერაფრით ვიტყვი სურათი დავამთავრე-მეთქი. ჯერაც ვერ მივა-

გენი იმ მთავარს... დავდივარ აისისწინა სიწყნარეში და განუწყვეტლივ ვფიქრობ. დღემუდამ ახალი ძალით ვრწმუნდები, რომ ჩემი სურათი ჯერ მხოლოდ ჩანაფიქრია და ასნგა არაფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაინც მინდა ვილაპარაკო ჩემს დაუწერელ სურათზე. მინდა მოგეთათბიროთ. რასაკვირველია, მიმიხვდებით, რომ სურათი ეძღვნება ჩვენი აულის პირველ მასწავლებელსა და პირველ კომუნისტს — მოხუც დიუიშენს.

მაგრამ ჯერ კიდევ ვერ წარმომიდგენია — შევძლებ კი ფერებით ავსახო ბრძოლებით სავსე ეს რთული ცხოვრება, ეს მრავალსახოვანი ადამიანური ბედისწერა და ვნებები. როგორ მოვიქცე, რომ სავსე ფინჯანი დაუღვრელად მივიტანო თქვენამდე, ჩემო თანამემამულენო; როგორ მოვიქცე, რომ ჩემი ჩანაფიქრი არათუ კარგად გამიგოთ, არამედ იგი იქცეს ჩვენს ერთობლივ ქმნილებად.

შეუძლებელია, არ დავწერო ეს სურათი, მაგრამ რამდენი ფიქრი და მღელვარება მმართებს! ზოგჯერ მგონია, რომ არაფერი გამომივა და მაშინ ვნაღვლობ: ნეტა ბედმა რად შემომაჩეჩა ფუნჯი? ეს რა მწვალებლობაა! ზოგჯერ კი მომეჭარბება ძალა, მგონია მთებს შევძრავ. და მაშინ ვფიქრობ: დააკვირდი, ისწავლე, შეარჩიე. დახატე დიუიშენისა და ალტინაის ალვის ხეები. სწორედ ისინი — ბავშვობისას რომ ამდენი სასიხარულო წუთები მოგანიჭეს, თუმცა არც კი იცოდი მათი ამბავი. დახატე ფეხშიშველა, მზემოკიდებული ბიჭი. სწორედ იგი — მაღლა-მაღლა რომ მიცოცავდა ალვის ხეზე, მერე რომ ტოტზე იჯდა და მოჯადოებული თვალებით გასცქეროდა იდუმალ სივრცეს...

ან დახატე სურათი და დაარქვი „პირველი მასწავლებელი". ეს შესაძლოა ის მომენტი იყოს, როცა დიუიშენს ხელში ატატებული ბავშვები გადაჰყავს მდინარეზე და იქვე ნასუქ, გარეულ ცხენებზე ამხედრებული ყეყეჩი ადამიანები ჩაივლიან, რომელთაც მელიის ბეწვის წითელი მალახაიები ახურავთ...

ან კიდევ დახატე — მასწავლებელი როგორ აცილებს ქალაქში მიმავალ ალტინაის. ხომ გახსოვს, რაც წამოიძახა მან უკანასკნელად! ისეთი სურათი დაწერე, რომ მან დიუიშენის

ძახილივით (ახლაც რომ ესმის ალტინაის) გამოძახილი ჰპოვოს თითოეული ადამიანის გულში.

ამას ჩემთვის ვამბობ. ბევრ რამეს ვეუბნები ხოლმე საკუთარ თავს, მაგრამ ყველაფერი როდი გამომდის. და არც კი ვიცი როგორ სურათს დავხატავ. სამაგიეროდ, მტკიცედ მწერა: ცდას არ დავაკლებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ა. ჟორდანია
მხატვ. რედაქტორი მ. ასათიანი
ტექრედაქტორი ნ. ძნელაძე
კორექტორი ე. მუზაშვილი
გამომშვები მ. ნადირაძე

ვადაეცა წარმოებას 14/VI-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/X-74 წ. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂ საბეჭდი ქაღალდი № 1 პირობითი ნაბეჭდი თაბახი 3,36 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,91 ტირაჟი 5000 შეკვ. № 1978

ფასი 14 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5

Издательство «Ганатлеба», Тбилиси,
ул. Марджанишвили, № 5
1975

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Типография изд-ва ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Чингиз Айтматов

(на грузинском языке)

Первый учитель

ბ135/92

ეროვნული
ბიბლიოთეკა